ახალი განათლება

25 – 31 მაისი 2017

ფასი 1 ლარი 70 თეთრი

№19 (773) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

ეროვნული სასწავლო გეგმა

რევიზირებული სასწავლო გეგმის ძირითადი ასპექტები

ვიწყებთ ახალ ჰუბრიდას „ეროვნული სასწავლო გეგმა“, რომელიც ჩვენი მკითხველისთვის დაწყებითი საფეხურის (I-VI კლასები) რევიზირებული ეროვნული სასწავლო გეგმის დეტალურად გაცნობას ისახავს მიზნად.

შემოგთავაზებთ წერილებს ახალ ეროვნულ სასწავლო გეგმაში განხორციელებულ ცვლილებებზე და, რადგან სასწავლო გეგმის დანერგვის ვადამ 2018-19 სასწავლო წლისთვის გადაინაცვლა, წლის განმავლობაში, გაგაცნობთ პილოტირების მიმდინარეობასა და შუალედურ შედეგებს.

გთავაზობთ შემდეგი სახის თანამშრომლობას: საგნობრივმა კათედრებმა, პედაგოგებმა მოგვწოდეთ ინფორმაცია თქვენთვის სასურველი თემებსა და იმ საკითხებზე, რომლებიც ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში გამოიკვეთება. შეგიძლიათ მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტით ან ფეისბუქგვერდზე.

ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის ხელშესაწყობად, პედაგოგებს ასევე ვთავაზობთ, ჩვენი გაზეთის საშუალებით, გაუზიარონ ერთმანეთს ახალი სასწავლო გეგმის მოთხოვნებიდან გამომდინარე ჩატარებული გაკვეთილების გამოცდილება, დანერგვის პროცესში გამოვლენილი პრობლემები თუ ხარვეზები.

ეროვნული სასწავლო გეგმების სამმართველოსთან ერთად მომზადებული ჰუბრიდა, მთელი წლის განმავლობაში, ხელს შეუწყობს ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის განხილვის საჯაროობასა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობას.

გვერდი 2

პროფესია პედაგოგი

სადაც ჩვენ ვართ, პატრიოტიზმსა და კრეატივს არ სძინავს

„ყველა მოსწავლე სამყაროს თავისებურად აღიქვამს, გრძნობს და განიცდის. მთავარია, მოვესმინოთ მათ გულისცემას და მაჯისცემას. მეჩნეოთ, ჩვენსა და მათ შორის (ასე დაყოფა არც შეიძლება, რადგან ჩვენ ერთნი ვართ) ულიანი ძაფი არასოდეს განყდება. მთავარია სწორი მიმართულების მიცემა – დანარჩენს ბავშვები ჩვენზე უკეთ ხედავენ და აღიქვამენ.“

„მოსწავლისა და მასწავლებლის ურთიერთობის „აქილევსის ქუსლად“ ნდობის არარსებობა მიმაჩნია. ამასთან, აღმოვაჩინე, რომ არც ღანგრით მორთმეული ნდობაა ჯარგი. ყველაფერს დამსახურება უნდა!“

„ადამიანი ყველაზე ჯარგად მაშინ სწავლობს, როცა სხვას ასწავლის – მე ვსწავლობ იმით, რომ მათ ვასწავლი და ისინი სწავლობენ იმით, რომ ერთმანეთს ასწავლიან, ერთგვარ სამკუთხედს ვქმნიდით, რომელიც ყველასთვის სასარგებლოა.“

თემო სუყაშვილი

გვერდი 4

რატომ უნდა ისწავლებოდეს სკოლაში ილია ჭავჭავაძის პოემა „აჩრდილი“ სრულყოფილად?!

გვერდი 6

წიგნის თარო — მასწავლებლის ბიბლიოთეკა

პროფესიული უნარები

დამსმარე სახელმძღვანელო მაკეთებლებისა ყველა საგნის მასწავლებლისთვის



პროფესიული უნარების სახელმძღვანელო

დაგეხმარებათ დამოუკიდებლად მოემზადოთ პედაგოგიური უნარების გამოცდისთვის. მასალა წარმოდგენილია კითხვა-პასუხის სახით, მდიდარია კონკრეტული მაგალითებით და შეიცავს ცოდნის შესამოწმებელ ტესტებს პასუხებით.

თემატიკა: გაკვეთილის დაგეგმვა, სწავლების მეთოდები, კლასის მართვა, შეფასება, რესურსები, კათედრაზე მუშაობის ფორმები, გამჭოლი კომპეტენციები, მოტივაცია, ინკლუზიური საკლასო გარემო და ისგ, კომუნიკაცია, სასკოლო კონფლიქტები, გაკვეთილის ტიპები, საგანმანათლებლო რესურსის ტიპები და მისი შექმნის ეტაპები, სწავლის და განვითარების თეორიები და ა.შ.

ფასი – 15 ლარი *მიმდინარეობს ხელმოწერა*

ეროვნული სასწავლო გეგმა

რევიზირებული სასწავლო გეგმის ძირითადი ასპექტები

გვესაუბრება
მარიამ ჩიქობავა,
ეროვნული სასწავლო გეგმების სამმართველოს უფროსი

რატომ შეიცვალა ეროვნული სასწავლო გეგმა

ეროვნული სასწავლო გეგმის ისტორია ხანგრძლივი არ არის. განვითარებულმა ქვეყნებმა, რომლებსაც წარმატებული სასწავლო შედეგები აქვთ, დაახლოებით, 30-40 წლის წინ დაიწყეს რეფორმა და ეროვნულ სასწავლო გეგმაზე მუშაობა. ამიტომ, 10 წელი არ არის დიდი პერიოდი. ამ ხნის განმავლობაში, ჩვენ ძალიან ბევრ რამეს ვაკვირდებოდით, ვცვლიდით, დიდი სამუშაოები ჩატარდა, სანამ თვითონ რევიზია დაიწყებოდა – იმართებოდა შეხვედრები სკოლებში კათედრებთან, პედაგოგიურ საზოგადოებასთან; სკოლებში იგზავნებოდა წერილები შეკითხვით, ვთქვათ, რას შეცვლიდნენ ეროვნულ სასწავლო გეგმაში, რის დამატებას ისურვებდნენ, რა მუშაობდა კარგად და რა არა. მართალია, ზოგჯერ, ტრაფარეტული პასუხები მოდიოდა, მრავლად იყო საინტერესო რეკომენდაცია, ყველას მინდა ამისთვის მადლობა ვუთხრა.

გარდა ამისა, ჩავატარეთ ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის მონიტორინგი, 2013-15 წლებში, რაც უშუალოდ კლასში დაკვირვებას გულისხმობს – როგორ ხდება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული პრინციპების საკლასო ოთახში რეალიზება. ამან კარგად დაგვანახა, რა პრობლემები არსებობს, რა უჭირთ ყველაზე მეტად ჩვენს პედაგოგებს და ამის მიხედვით დაიგეგმა უკვე რევიზია.

ზოგადი განათლების საფეხურების მისია და მიზნები

ეროვნულ სასწავლო გეგმაში გაჩნდა ზოგადი განათლების საფეხურების მისია და მიზნები, რომლებიც სრულად დაეფუძნა ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. თქვენ იცით, რომ 2004 წელს საზოგადოება შეთანხმდა, თუ როგორი მოქალაქე უნდა აღზარდოს სკოლამ და ეს გამოიხატა ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებში. პირველი თაობის ეროვნული სასწავლო გეგმაც ამ ზოგადი განათლების მიზნებს ეფუძნებოდა, თუმცა, ვფიქრობ, მესამე თაობის ახალ, რევიზირებულ გეგმაში ის კიდევ უფრო მკაფიოდ და სტრუქტურირებული ფორმით გამოიკვეთა, რამდენიმეს დაგისახელებთ: კულტურული მემკვიდრეობის დაფასების და მასზე ზრუნვის უნარი; ენობრივი და კულტურული მრავალფეროვნების გააზრების და დაფასების უნარი; ჯანსაღი ცხოვრების უნარ-ჩვევები; კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების, პრობლემების გადაჭრის, კვლევის უნარები. ამ უნარების გამომუშავებაზე ყველა საგანმა უნდა იმუშაოს, მაგალითად, ლოგიკური აზროვნების და არგუმენტირებული მსჯელობის უნარზე დიდწილად მათემატიკამ უნდა იმუშაოს; სამყაროს ესთეტიკური აღქმის უნარის გამომუშავებას ხელოვნება და ესთეტიკური აღზრდის საგნები ემსახურება; ახალ სიტუაციებთან, ცვლად მოთხოვნებთან ადაპტირების, საზოგადოებაში თვითდამკვიდრების უნარ-ჩვევები და ა.შ.

ამ მიზნებზე დაყრდნობით, თითოეულმა საგანმა განსაზღვრა თავისი მიზნები საფეხურის ფარგლებში, და – საფეხურებრივი შედეგები, რაც იგივე მიზნებია, ფორმულირებული უფრო ოპერაციონალურ დონეზე. ის, რაც განსაზღვრული იყო ეროვნული მიზნებისა და ეროვნული სასწავლო გეგმის დონეზე, შესაბამისად დაისახა უკვე თითოეული საგნის დონეზე, ანუ რისი მიღწევა გვსურს თითოეული საგნის სწავლების ფარგლებში, როგორ მიაღწიოს თითოეულმა საგანმა და ყველამ ერთად ამ მიზნებს.

ძირითადი ცვლილებები

რატომ გაკეთდა ასეთი მკაფიო აქცენტი მიზნების განსაზღვრასა და მათ იერარქიაზე – მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც პედაგოგებს უჭირდათ, ეს იყო გრძელვადიანი მიზნების დანახვა, რაზეც მერე მთელი სასწავლო პროცესი უნდა აიგოს. სკოლა ყოველდღიური რუტინაა, ყოველდღიური საქმიანობა და ეროვნულმა სასწავლო გეგმამ ამ საქმიანობას მწყობრი და სისტემური ხასიათი უნდა მისცეს, გარკვეულ სტრუქტურაში უნდა ჩასვას. ყველაზე მეტად გამოიკვეთა, რომ არ ხდებოდა გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირება, მასწავლებლები აკეთებდნენ, მაგალითად, პრეზენტაციებს, გაკვეთილიც თითქოს ინტერაქტიული იყო, მაგრამ ეს ცალკე, თავისთავად კარგი გაკვეთილი არ ემსახურებოდა უმთავრეს სტრატეგიულ მიზანს, რასაც ამა თუ იმ საგნის სწავლება უნდა ემსახურებოდეს.

სასკოლო სასწავლო გეგმა ეროვნულ სასწავლო გეგმას უნდა ეფუძნებოდეს, ყველა საგანს თავისი გაწერილი მიზნები უნდა ჰქონდეს. როგორც წესი, სასკოლო სასწავლო გეგმები, ძირითადად, გადმოკოპირებულია ეროვნული სასწავლო გეგმიდან მეტ-ნაკლები მცირეოდენი ცვლილებით და ამის გამო ყველა სკოლის სასწავლო გეგმა ძალიან ჰგავს ერთმანეთს, თუ არ ჩავთვლით საათობრივ ბადეს. სასწავლო პროცესის გრძელვადიან მიზნებზე მიმართვას და ორიენტირებას ემსახურებოდა, ყოველწლიური მისაღწევი შედეგების ნაცვლად, საფეხურებრივი შედეგების შემოტანაც. საფეხურებრივი შედეგები ძირითადად უფრო უნარებია, თუმცა ცხადია ჩანს საგნის სპეციფიკაც. დაწყებითი საფეხური ასეა მოწყობილი – გვაქვს I-IV კლასების მისაღწევი შედეგები, ანუ Objectives, რაზეც უნდა იმუშაოს პედაგოგმა (ასევე – V-VI კლასების შედეგები). ეს რას ნიშნავს? მე ამ შედეგებზე (რაც უნარების სახით არის ფორმულირებული) ვმუშაობ პირველ კლასში, მეორეშიც, მესამეშიც და მეოთხეშიც, უბრალოდ იცვლება შინაარსი. ალბათ, საგანი „მე და საზოგადოება“ იწვევს ყველაზე დიდ ინტერესს და მაგალითს აქედან მოვიტან. მაგალითად, „მე და საზოგადოების“ მეორე შედეგია: მოსწავლემ უნდა შეძლოს ასაკის შესატყვისი ზნეობრივი კატეგორიების გაცნობიერება და საზოგადოებაში მიღებული ეთიკის ნორმების შესაბამისად მოქმედება – ამაზე იმუშავებს პედაგოგი მესამე კლასშიც და მეოთხე კლასშიც, ოღონდ სხვადასხვა თემების მეშვეობით. მესამე კლასში, მაგალითად, სამი თემაა: „ჩემი ოჯახი“, „სკოლა, მეგობრები, თანატოლები“ და „თემი, რომელშიც ვცხოვრობ“. მეოთხე კლასში უკვე სხვა თემები შემოდის, მაგალითად: „სად და როგორ ვიღებ განათლებას“, „მედია და ინფორმაცია“. ეს შედეგები გამჭოლია და მუშავდება მთელი საფეხურის მანძილზე. აი, ამ პრინციპით შევეცადეთ, აგვეგო სასწავლო გეგმა.

გარდა ამისა, სასწავლო გეგმა ორ დიდ ნაწილად dავყავით – **საგნობრივი სტანდარტი**, სადაც მოთხოვნებია დაყენებული და **წლიური პროგრამები**, რომელიც არასავალდებულო ნაწილია. წლიური პროგრამებით შევეცადეთ, გვეჩვენებინა ერთ-ერთი გზა, როგორ შეიძლება სტანდარტის მოთხოვნების დაკმაყოფილება. სტანდარტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად სკოლამ შეიძლება საკუთარი წლიური პროგრამა შეიმუშაოს. თუმცა, ვისთვისაც ეს სირთულეს წარმოადგენს, შეუძლია ჩვენი წლიური პროგრამით იხელმძღვანელოს, სადაც მოცემულია აქტივობების ნიმუშები საკლასო და დამოუკიდებელი მუშაობისთვის. რა თქმა უნდა, ეს არ გამორიცხავს იმას, რომ პედაგოგმა შეიძლება უკეთესი აქტივობებიც მოიფიქროს და თვითონ იზრუნოს, ვთქვათ, იმავე სასწავლო რესურსების შექმნაზე. ჩვენ გვინდოდა, აუცილებლად მიგვეცა რაღაც გეზი – ეს არის ყველაზე დიდი სიახლე.

ახალი საგანი

ზოგადად სოციალური მეცნიერებების სწავლება საკმაოდ გაძლიერდა. დანერგვის მონიტორინგმა გვიჩვენა, რომ კლასში, რეალურად, სოციალურ მეცნიერებებზე აქცენტირება სხვა საგნებში, მაგ. ქართულში, ბუნებისმეტყველებაში – ვერ ხდება, რადგან მოქმედ სასწავლო გეგმაში სწავლება ინტეგრირებული სახით მიმდინარეობს. მოქმედი ეროვნული სასწავლო გეგმით, სამოქალაქო განათლება, ფაქტობრივად, მხოლოდ IX-X კლასებში ისწავლება. ამიტომ გადავწყვიტეთ, III-IV კლასებში შემოგვეტანა (თუმცა, ვისურვებდი, კიდევ უფრო ადრეული პერიოდიდან დაწყებულიყო, მაგრამ საგაკვეთილო ბადეც შეზღუდულია) საზოგადოებრივი მეცნიერებების ჯგუფის საგანი „მე და საზოგადოება“.

ორსაათიანი დატვირთვით, მეოთხე კლასში ისწავლება სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება, რომელიც, ძირითადად, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებას ითვალისწინებს. ეს კომპონენტი მთლიანად შევიდა ახალ საგანში. საგანი გულისხმობს ისტორიულ და გეოგრაფიულ უნარებზე მუშაობასაც, თუმცა „მე და საზოგადოებაში“ წამყვანი სამოქალაქო განათლების კომპონენტია. ძალიან დიდი მოლოდინი გვქონდა, რომ სექტემბრიდან შევიდოდა სკოლებში, მაგრამ რაკი სახელმძღვანელოები ვერ მოესწრო, მომავალი სასწავლო წლისთვის გადაიდო მთლიანდ დაწყებითი საფეხურის და მათ შორის ამ საგნის დანერგვაც. ძალიან მნიშვნელოვანია კარგი სახელმძღვანელოების არსებობა, ამიტომ გამომცემლობებს მეტი დრო მიეცათ, რომ შექმნან ხარისხიანი სახელმძღვანელოები, მეტი დრო დაეთმოს მათ შეფასებასა და უკუკავშირსაც, რათა შეფასების პროცესში დაიხვეწოს. მინისტრის ინიციატივაა, რომ ამ სახელმძღვანელოების ელექტრონული ვერსიები განთავსდეს საჯაროდ და საზოგადოება ჩაერთოს განხილვაში. ესეც, რა თქმა უნდა, ხელს შეუწყობს მთელი ამ პროცესის წარმატებას. რაც უნდა ვიძახოთ, რომ სახელმძღვანელო ერთ-ერთი დამხმარე რესურსია, პედაგოგები ძირითადად მაინც მასზე არიან დაყრდნობილი, ამიტომ მნიშვნელოვანია იყოს ხარისხიანი და კარგი ორიენტირები მისცეს პედაგოგს.

„ჩემი საქართველო“, რომელიც „მე და საზოგადოების“ ერთგვარი გაგრძელებაა, მოქმედი სასწავლო გეგმით ისწავლება და ძირითადი აქცენტი გეოგრაფიულ და ისტორიულ უნარებზე კეთდება. აქაც ძალიან მკაფიოდ შემოვიდა სამოქალაქო განათლების კომპონენტი. სამომავლოდ, გადამუშავებულ საბაზო საფეხურის ეროვნული სასწავლო გეგმაში სამოქალაქო განათლება დამოუკიდებელი საგნის სახით შევა VII-VIII კლასებში, IX-ში ამჟამადაც არის და მომავალშიც დარჩება.

შეფასების სისტემა

ცვლილება შევიდა შეფასების სისტემაში და ესეც მომავალი წლიდან დაინერგება. დღეს მოქმედი სასწავლო გეგმით I-IV კლასებში, გვაქვს მხოლოდ განმავითარებელი შეფასება და ნიშნით შეფასება შემოდის V კლასიდან. აქ გარკვეულ პრობლემებს ვაწყდებით. ბავშვები, მეოთხე კლასამდე, მოდიან ვარსკვლავებით წახალისებულები და უცებ, მეხუთე კლასში, ახალი პედაგოგების ხელში „ეჯახებიან“ იმ რეალობას, რომ უკვე ნიშანი იწერება, რომელიც შეიძლება კარგი ქულაა, მაგრამ არ არის ათიანი. ეს ბავშვებისთვის საკმაოდ სტრესულია. რაც მთავარია, მეხუთე კლასში ეცვლებათ მასწავლებელიც, ბავშვები მიჩვეულები არ არიან ახალ პედაგოგს და ეს კიდევ დამატებითი სტრესია მათთვის. ამიტომ გადავწყვიტეთ, მეხუთე კლასის პირველ სემესტრში, სანამ შეეჩვევიან პედაგოგს და, თავის მხრივ, პედაგოგი გაიცნობს მოსწავლეებს, არ მოხდეს ქულით შეფასება. მეორე სემესტრიდან, როდესაც დაიწყება ნიშნების წერა, ეს პედაგოგიც ერთგვარად პასუხისმგებლობას აიღებს იმ ნასწავლ მასალაზე, იმ ცოდნაზე, რაც მან გადასცა მოსწავლეებს პირველ სემესტრში. ვფიქრობთ, ამგვარად უფრო უმტკივნეულოდ მოხდება განმსაზღვრელ შეფასებაზე გადასვლა.

ასევე პრობლემა იყო და ხშირად გვესმოდა, რომ ბავშვებს ძალიან ბევრ დავალებას აძლევდნენ, მაგალითად მათემატიკაში – შეიძლება ჰქონდეთ ასი მაგალითი საშინაო დავალებად. ვფიქრობთ, დაწყებით საფეხურზე უფრო მეტი დატვირთვა უნდა მოდიოდეს საკლასო აქტივობებზე, ვიდრე საშინაო დავალებაზე. ამიტომ გადავწყვიტეთ, ვითარება ცოტა შეგვემსუბუქებინა. ბუნებრივია, საშინაო დავალებას არ ვაუქმებთ, მაგრამ I-VI კლასის ჩათვლით, საშინაო დავალებაში არ იქნება განმსაზღვრელი შეფასება.

რამდენად დაძლევადია სასწავლო გეგმა

მუდმივად მიდის იმაზე აქცენტირება, რომ განიტვირთოს და გამარტივდეს საგნობრივი სტანდარტები. ეროვნული სასწავლო გეგმების გამარტივების მომხრე ვართ, მაგრამ არა გაპრიმიტიულების. ამავე დროს, უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ საქართველო ჩართულია საერთაშორისო და ეროვნულ შეფასებებში. ეს კვლევები გარკვეულ მოთხოვნებს აყენებს მოსწავლეების წინაშე. თუკი იმდენად გავამარტივებთ მოთხოვნებს, რომ ძალიან ავცდებით საერთაშორისო სტანდარტს, ბუნებრივია, ეს ნიშნავს, რომ ჩვენს მოსწავლეებს გამოკითხავენ და მოთხოვენ იმას, რაც ჩვენთან არ ისწავლება და საერთაშორისო რეიტინგში ვერასდროს მივაღწევთ სასურველ შედეგებს. ვფიქრობ, ეს ფაქტორიც გასათვალისწინებელია. ამიტომ, ცალსახად გამარტივება კარგი გამოსავალი არ არის. რა თქმა უნდა, ყველანაირად ვცდილობდით შინაარსის განტვირთვას. ამას ემსახურება სწორედ, ყოველწლიური მისაღწევი შედეგების ნაცვლად, საფეხურებრივი შედეგების შემოღება და ძირითადად უნარების ენაზე ჩამოყალიბება. ამ უნარებზე მუდმივად უნდა მუშაობდეს პედაგოგები ცვალებად შინაარსზე დაყრდნობით.

უნდა ვაღიაროთ, რომ პრობლემები გვაქვს შედეგების მიღწევის თვალსაზრისით. მაგალითად, სახელმწიფო შეფასება აჩვენებს, რომ დაგეგმილ და მიღწეულ ეროვნულ სასწავლო გეგმას შორის არსებითი სხვაობაა. მე-9 კლასში ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მოთხოვნების დაძლევას, მინიმალურ დონეზე, მათემატიკაში მოსწავლეთა 30,3%; ფიზიკაში 34,8%, ქიმიაში 49,1%, ხოლო ბიოლოგიაში 13,3% ვერ ახერხებს.

კვლევამ დაბალი შედეგი აჩვენა იმ დავალებების შესრულებაში, რომლებიც მსჯელობას და პრობლემის გადაჭრის უნარს მოითხოვს.

ჩვენ ვცდილობთ, რომ გავითვალისწინოთ და წინ წამოვწიოთ პრობლემური კომპონენტები საგნობრივ სასწავლო გეგმებში.

არაქართულენოვანი სკოლები

არაქართულენოვანი სკოლებისთვის კურიკულუმი არ განსხვავდება – რითიც ქართულენოვან სკოლებში ისწავლიან ბავშვები, იგივე შევა არაქართულენოვან სკოლებში. როგორც კი დამთავრდება სახელმძღვანელოების მომზადების პროცესი, ისინი ითარგმნება შესაბამის ენებზე და არაქართულენოვან სკოლებშიც ახალი ეროვნული სასწავლო გეგმით დაიწყება სწავლება. იქაც გარკვეული პრობლემებია, ძალიან მნიშვნელოვანია, თითოეულ სკოლამდე სიახლეების კარგად მიტანა, მითითება, რაზე გაამახვილონ ყურადღება, რა ცვლილებები შევიდა ახალ გეგმაში, რა გაითვალისწინონ.

ეროვნული სასწავლო გეგმა

მშობლიური ენის სწავლება

არაქართულენოვანი სკოლების საგაკვეთილო ბადე განსაკუთრებით გადატვირთულია, რადგან სხვა საგნებთან ერთად ისწავლება ეთნიკური უმცირესობების ენაც (მშობლიური ენა). თუმცა სხვადასხვა საჭიროება აქვთ თბილისის და რეგიონის არაქართულენოვან სკოლებს. მაგალითად, ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რაიონებში სკოლის მოსწავლემ უფრო კარგად იცის მშობლიური, მაგრამ პრობლემები აქვს სახელმწიფო ენის ფლობის კუთხით.

ეთნიკურ უმცირესობებს, მშობლიური ენის შესწავლისას, მივეცით მოქნილობის საშუალება – 3-დან 5 საათამდე. თვითონ სკოლას/პედაგოგს შეუძლია გადაწყვიტოს, რამდენი საათი დაუთმოს მშობლიური ენის სწავლებას (მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, რომ სხვა დისციპლინების სწავლებაც ამ ენაზე მიმდინარეობს).

ზოგადად პირველი კლასის პირველ სემესტრში ამოვიღეთ უცხოური ენა (ეს ქართულენოვან სკოლებსაც ეხება). მიუხედავად იმისა, რომ ანბანის სწავლებას არც მოქმედი ეროვნული სასწავლო გეგმით ვითხოვთ, პედაგოგები მაინც ანბანის შეტანით იწყებენ ხოლმე, ამიტომ გადავწყვიტეთ, რომ მეორე სემესტრიდან დავიწყოთ უცხოური ენის სწავლება და სასწავლო პროგრამაც ძალიან განტვირთული იყოს, მეტი აქცენტი ზეპირმეტყველებაზე გაკეთდეს.

სიახლეა ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სწავლებისას. თქვენ იცით, რომ პირველკლასელებს ურიგდებათ ბუკები და პირველი სემესტრი ერთგვარი მოსამზადებელი პერიოდია – როგორ ასწავლონ ბუკების მოხმარება და კლასში გამოყენება. იყო სკოლები, რომლებიც გვეუბნებოდნენ, მირჩევნია ეს საათები სხვა საგანს დავამატო (თავის დროზე მათემატიკას მოაკლდა ეს საათები), ამიტომ სკოლებს მივეცით თავისუფლება, ვისაც აქვს ინფორმაციულ საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სწავლების საჭიროება, დატოვებს პირველ სემესტრში, ვისაც არა – ამ საათებს დაუმატებს მათემატიკას. პედაგოგი თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას, კლასის საჭიროებიდან გამომდინარე.

დანერგვის პროცესი

მოგეხსენებათ, რომ ეროვნული სასწავლო გეგმა ერთგვარი საძირკველია, ბაზისია, რაზეც უნდა დაშენდეს შემდეგ შენობა, ანუ საგანმანათლებლო პროცესი. ამ პროცესში ბევრი მხარეა ჩართული – პედაგოგი, სასწავლო რესურსები, სწავლების მეთოდიკა, საგანმანათლებლო გარემო და ა.შ. ყველაზე მეტად მნიშვნელოვანია პედაგოგის დახელოვნება და ის, თუ რა მეთოდით ასწავლი, რა სტრატეგიებს იყენებ სწავლების პროცესში და სხვ. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფომ დახმარება გაუწიოს პედაგოგებს გადამზადებით და მრავალფეროვანი დამატებითი რესურსების შექმნით და მათზე ხელმისაწვდომობით. ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვა ძალიან რთული და კომპლექსური საკითხია ნებისმიერ ქვეყანაში. ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა, ჯერჯერობით, მხოლოდ ფურცელზეა, მაგრამ ის რომ კლასში განხორციელდეს, საჭიროა სხვადასხვა უწყებების გაერთიანებული ძალისხმევა: სამინისტროს, მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის, გამოცდების ეროვნული ცენტრის, რესურსცენტრების, სკოლის მენეჯმენტის და ა.შ.

თქვენ იცით, რომ ესტონეთმა საკმაოდ კარგი შედეგი აჩვენა PISA-ს კვლევაში. ისინი საბუნებისმეტყველო საგნებში, ევროპის მასშტაბით – პირველ ადგილზე, ხოლო მსოფლიო მასშტაბით – მესამე ადგილზე არიან. ზოგადად საკმაოდ წარმატებული სკოლები აქვთ. რეალურად სასწავლო გეგმების რევიზია ესტონელ ექსპერტებთან ერთად განხორციელდა, ძალიან მჭიდროდ ვითანამშრომლეთ. გვეხმარებიან დანერგვის პროცესშიც.

რადგან წელს ახალი სასწავლო გეგმა სკოლებში არ შედის, გადავწყვიტეთ, დანერგვის პილოტირება ჩაგვეტარებინა. შევარჩიეთ 15 სკოლა (თბილისის და რეგიონების სკოლები) და გადავწყვიტეთ, მოვამზადოთ მათი პედაგოგები და გადავამზადოთ დირექტორები. მათთვის სასწავლო ტური განხორციელდა ესტონეთში, ისინი ტალინის 5 სკოლას ესტუმრნენ, გაიცნეს და დაუმეგობრდნენ კოლეგებს. ადგილზევე ნახეს, როგორ ხდება სასწავლო პროცესის დაგეგმვა, სიახლეების შეტანა, სკოლის სასწავლო გეგმის აგება ეროვნულ გეგმაზე დაყრდნობით, როგორ ხდება კურიკულუმის განხორციელება კლასში. ესტონელი კოლეგები ძალიან გახსნილები იყვნენ, კარგად ჩაგვახედეს საგანმანათლებლო პროცესში, რა გამოწვევები აქვთ, როგორ ძლევენ სირთულეებს და ა.შ.

პილოტირებისთვის არჩევანი შევაჩერეთ ახალ საგანზე „მე და საზოგადოება“, რომელზე დაყრდნობითაც გავაკეთებთ ერთგვარ მოდელს – როგორი უნდა იყოს კურიკულუმზე დაფუძნებული ტრენინგი და შემდეგ ამას გამოვიყენებთ ყველა საგნისთვის. პედაგოგებს, კონკრეტული თემების მაგალითზე, ადგილზევე დავაგეგმინებთ და ვაჩვენებთ, როგორ შეადგინონ მთელი წლის, გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული გეგმები და როგორ მოამზადონ თავადვე სასწავლო რესურსები. სექტემბერ-ოქტომბრიდან 15-ვე სკოლაში დაიწყება პილოტირება. მართალია, ახალი სახელმძღვანელო ამ საგნისთვის ჯერჯერობით არ არის, მაგრამ ყველა საგანში თითოეულ შედეგსა და თემაზე სამუშაოდ მიცემული გვაქვს აქტივობების ნიმუშები. პედაგოგებს ექნებათ საშუალება თავად მოიფიქრონ სხვა აქტივობებიც, მოიძიონ რესურსები ან თვითონვე შექმნან. გარდა ამისა, 2017 წელს დაგეგმილი გვაქვს ყველა საგნისთვის ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაფუძნებული გზამკვლევის მომზადება და შევეცდებით, ძალიან დეტალურად იყოს ნაჩვენები, თუ როგორ მოხდეს ეროვნულ სასწავლო გეგმის შედეგებზე მუშაობა კლასში.

ესაუბრა ლალი თვალაბეიშვილი

ინფორმაცია

უკეთესი მომავლის პერსპექტივა

„განათლებით უნდა გავარღვიოთ ის ხილული და უხილავი ბარიკადები, რომლებიც კონფლიქტმა, საზოგადოების გახლეჩამ და მავთულხლართებმა შექმნა,“ – განაცხადა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა ქეთევან ციხელაშვილმა ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირებისთვის განათლების ხელმისაწვდომობის თემაზე გამართულ შეხვედრაზე.

განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ალექსანდრე ჯეჯელავამ და შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა ქეთევან ციხელაშვილმა, საერთაშორისო საგანმანათლებლო ცენტრების, ფონდებისა და საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან ერთად, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირებისთვის განათლების ხელმისაწვდომობის საკითხები განიხილეს.

ალექსანდრე ჯეჯელავა: *„ეს არის ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ახალგაზრდებისთვის საერთაშორისო განათლების მიღების გამარტივებისკენ გადადგმული ნაბიჯი. ბოლო წლების განმავლობაში, ბევრი სასიკეთო ნაბიჯი გადაიდგა იმისთვის, რომ ჩვენმა თანამოქალაქეებმა, ოკუპირებულ ტერიტორიაზე, ისარგებლონ იმ სიკეთეებით, რაც ხელმისაწვდომია დანარჩენი მოსახლეობისთვის, მაგალითად, ძალიან პოპულარულია, ჯანდაცვის მიმართულებით, უფასო ჯანდაცვის პროგრამა, ასევე, პოპულარულია პროფესიული განათლების მიმართულებით მომსახურება, რომელსაც ეს ხალხი იღებს. ამ სიას, ყოველდღიურად, ახალ-ახალი გადადგმული ნაბიჯები ემატება. დღევანდელი საუბრის ძირითადი თემაა ის, რომ საერთაშორისო განათლების პროგრამები, რაც ხელმისაწვდომია საქართველოს მოქალაქეებისთვის, ასევე ხელმისაწვდომი გახდეს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ახალგაზრდებისთვის და არა მარტო ახალგაზრდებისთვის. შესაბამისად, ჩვენთვის ეს ერთგვარი ინსტრუმენტია, რომ მოხდეს ამ ადამიანების შემდგომი ინტეგრაცია ქართულ სახელმწიფოში, საერთაშორისო აქტივობებში და მათ ჩვენი გავლით, ჩვენი დახმარებით რომ მიიღონ დამატებითი სიკეთე, რაც იქნება ჩვენი შემდგომი ურთიერთობის და, საბოლოო ჯამში, საქართველოს გაერთიანების საწინდარი. ამდენად, ძალიან მნიშვნელოვანი და სასიხარულო სიახლეა. მადლობელი ვართ ჩვენი კოლეგების, ვინც ამ პროცესს ხელმძღვანელობენ – ქეთი ციხელაშვილის უწყება – რომ ამის შესაძლებლობა მოგვეცა. მგონია, რომ ამ ცვლილებას ძალიან დადებითი გამოხმაურება ექნება.“*

ქეთევან ციხელაშვილი: *„ზოგადად, საქართველოს ხელისუფლების სამშვიდობო პოლიტიკისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტია კონფლიქტით დაზარალებულ მოსახლეობაზე, მათ შორის აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მცხოვრებ ადამიანებზე ზრუნვა, მათთვის მეტი სიკეთის, მეტი სარგებლის და მომსახურების ხელმისაწვდომობა. ამ მხრივ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახალგაზრდებისთვის, სტუდენტებისთვის ხარისხიანი განათლების მიღებაში ხელშეწყობა როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ. ვფიქრობ, სწორედ განათლებით უნდა გავარღვიოთ ის ხილული და უხილავი ბარიკადები, რომელიც შეიქმნა კონფლიქტის, განგრძობითი ოკუპაციის, მავთულხლართების, ჩვენი საზოგადოების დაშორიშორებისა და გაუცხოების შედეგად. ზოგადად, საქართველოს ხელისუფლებისათვის და ჩვენი ქვეყნისათვის განათლება უმთავრესი პრიორიტეტია. რაც შეეხება კონკრეტულად დღევანდელ შეხვედრას, ვსაუბრობთ პროცედურების გამარტივებაზე იმისათვის, რომ გამყოფი ხაზის მეორე მხარეს მცხოვრებმა ახალგაზრდებმა ისარგებლონ სხვადასხვა პროგრამებითა და სტიპენდიებით, რომლებიც საქართველოს დანარჩენი მოქალაქეებისთვის გახლავთ ღია. ამ გზით უნდა შევუქმნათ მათ უკეთესი, თავისუფალი მომავლისა და განვითარების რეალური პერსპექტივა.“*

უმაღლესი განათლების ხარისხის ასამაღლებლად

საქართველოს ვიცე-პრემიერმა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა **ალექსანდრე ჯეჯელავამ**, მთავრობის სხდომაზე, განათლების ხარისხის განვითარების კანონში შესატან ცვლილებებზე ისაუბრა, რაც საერთაშორისო დონეზე გაზრდის როგორც უმაღლესი სასწავლებლების იმიჯს, ასევე კურსდამთავრებულთა დასაქმების ინტერნაციონალიზაციის ხარისხს.

ცვლილების თანახმად, შესაძლებელი იქნება უცხოური წამყვანი სააგენტოების მიერ, მოხდეს უმაღლესი სასწავლებლების პროგრამების აკრედიტირება, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქვეყანაში უმაღლესი განათლების ხარისხის ამაღლებას.

აკრედიტაციის პროცესის ეფექტიანად წარმართვის მიზნით, აკრედიტებული 1150 პროგრამა განმეორებით აკრედიტაციას ეტაპობრივად გაივლის. ცვლილებების მიხედვით, დაწესებულებებს, წლის ნებისმიერ დროს, ექნებათ შესაძლებლობა, დაიმატონ პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები, ასევე იხვეწება ავტორიზებული დაწესებულებების გეგმიური და არაგეგმიური შემოწმების პროცედურა. იცვლება ერთობლივ პროგრამაზე საქართველოს მოქალაქეების ჩარიცხვის წესი. ცვლილებების მიხედვით, ნებისმიერი პირისთვის ჩნდება შესაძლებლობა – ერთი კვალიფიკაციის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება სხვა კვალიფიკაციის მიზნებისათვის.

ინიცირებული ცვლილებებით, მკაფიოდ განისაზღვრება საქართველოს ტერიტორიაზე არაავტორიზებული დაწესებულებების მიერ უკანონო საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული რეგულაციები. ასევე, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს ეძლევათ შესაძლებლობა, საკუთარი პროგრამების აკრედიტაცია საზღვარგარეთ მოქმედ ხარისხის უზრუნველყოფის წამყვან სააგენტოებში განახორციელონ.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ახალი სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობის მიზნით, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს ავტორიზაციის ვადა ერთი წლის ვადით უხანგრძლივდებათ.

ქართველი მეცნიერები პასტერის ინსტიტუტში

ფაგების აღმოჩენიდან 100 წლისთავის აღსანიშნავად, პასტერის ინსტიტუტში (პარიზი, საფრანგეთი), გიორგი ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტის (თბილისი, საქართველო) თანაორგანიზატორობით, ჩატარდა ბაქტერიოფაგების კვლევის საერთაშორისო კონფერენცია, რომელსაც 29 ქვეყნის 250-მდე დელეგატი დაესწრო. ღონისძიება გახსნეს პასტერის ინსტიტუტის პრეზიდენტმა **ქრისტიან ბრეშომ** და გიორგი ელიავას სახელობის ინსტიტუტის დირექტორმა, **მზია ქუთათელაძემ**. კონფერენციის ფარგლებში, ქართველი მეცნიერების მიერ წარმოდგენილი მოხსენებებით, კიდევ ერთხელ დადასტურდა ქართველი მეცნიერებისა და ექიმების ფასდაუდებელი გამოცდილების მნიშვნელობა და შესაძლებლობები.

ღონისძიების მიზანი იყო ბაქტერიოფაგების კვლევის ძირითადი მიმართულებების ფართო მიმოხილვა, ფაგი-ბაქტერიული უჯრედის ურთიერთქმედების მექანიზმების შესახებ თანამედროვე აღმოჩენებზე მსჯელობა, ბაქტერიოფაგების ეკოლოგიის, ევოლუციური ასპექტების, ფაგების თერაპიული, სამრეწველო და ბიოტექნოლოგიური გამოყენების მნიშვნელობისა და შესაძლებლობების განხილვა.



ფაგების აღმოჩენიდან 100 წლისთავის აღნიშვნის მეორე მნიშვნელოვანი ღონისძიება გაიმართება თბილისში, 26-29 ივნისს, გიორგი ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტის, პასტერის ინსტიტუტისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანაორგანიზატორობით.

ПРОФЕСИЯ ПЕДАГОГ

სადაც ჩვენ ვართ, პატრიოტიზმსა და კრეატივს არ სძინავს

რუბრიკის სტუმარია თემო სუყაშვილი, მარნეულის №2 საჯაროს სკოლის მასწავლებელი

დაუგეგმავი კარიერა

2011 წელს უნივერსიტეტი დავამთავრე და სამსახურიც დავიწყე მერიაში, მაგრამ მალევე შევიტყვე განათლების სამინისტროს პროგრამის – „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“ შესახებ, რომელიც ეთნიკური უმცირესობებისთვის ქართული ენის სწავლებას ითვალისწინებდა. პროგრამის ერთ-ერთი სიკეთე ისიც იყო, რომ, თუ ერთი წლის განმავლობაში, რეგიონში, ქართულ ენას არაქართველ მოსახლეობას ვასწავლიდი, მაგისტრატურის სრულ კურსს დამიფინანსებდნენ, რამაც ძალიან მომხიბლა. რასაკვირველია, პროგრამაში მონაწილეობა მივიღე და, 2013 წელს, გამანაწილეს საზღვრისპირა სოფელში – სადახლოში. ეს ერთ-ერთი ყველაზე დიდი სოფელია საქართველოში, დაახლოებით, 8 ათასი მოსახლე ცხოვრობს. სოფელში ორი სკოლა ფუნქციონირებს, მე ერთ-ერთში დავიწყე მუშაობა ქართული ენის დამხმარე მასწავლებლად. ხანდახან ვფიქრობ, ამაზე დიდ ეროვნულ საქმეს ვერც გავაკეთებდი.

არ დამავიწყდება პირველი გაკვეთილი, როცა კლასში შევედი და ვიგრძენი, 26 ბავშვის თვალი როგორი ინტერესით და ცნობისმოყვარეობით მიყურებდა. ისე მოვინუსხე, იმ წუთიდან გადავწყვიტე, რომ ამ სფეროში დავრჩებოდი. შემდეგ დავიწყე კარიერულ წინსვლაზე ფიქრი და ზრუნვა. მომდევნო წელსვე, 2014 წელს, ჩავაბარე პროფესიული უნარების და სამოქალაქო განათლების საგნის გამოცდები. ასე გავხდი უფროსი მასწავლებელი. ახლა მარნეულის მე-2 საჯარო სკოლაში ვმუშაობ და ქართულს, როგორც მეორე ენას ვასწავლი რუსულ სექტორზე, სამოქალაქო განათლებასა და გეოგრაფიას – ქართულ სექტორზე. სკოლის მოსწავლეების უმეტესობა აზერბაიჯანელია. სკოლაში ასევე სწავლობენ სომეხი, ყაზახი და უკრაინელი ეროვნების მოსწავლეები. 2015-2016 სასწავლო წელს ქართული სექტორის პირველ კლასში მივიღეთ 16 ქართველი მოსწავლე.

ზოგადად, აზერბაიჯანელ ბავშვებთან შეგუების პროცესი არ გამჭირვებია, რადგანაც თვითონ კახის რაიონში დავიბადე და გავიზარდე, სადაც, როგორც ეთნიკურ ქართველს, აზერბაიჯანულ სივრცეში ყოფნა მიწევდა. მე ჰერელი ვარ და, შესაბამისად, არაქართულენოვან სკოლაში რომ მივედი, გარკვეულ დონეზე, აზერბაიჯანული ენაც ვიცოდი. ბავშვებთან კონტაქტი იოლად დავამყარე, თავისიანადაც კი მიმიღეს. პრინციპში, დღეს ეროვნული უმცირესობების მიმართ დამოკიდებულება შეცვლილია. ქართველი აღიქმება არა როგორც პრივილეგირებული, არამედ როგორც ერთ-ერთი თანაბარუფლებიანი ეთნოსის წარმომადგენელი. თავისთავად, მეც ეროვნულ უმცირესობებს თანასწორუფლებიან მოქალაქეებად ვაღიარებ და ჩვენ შორის ვერანაირ სხვაობას ვერ ვხედავ. ამას ყველაზე კარგად ბავშვები გრძნობენ და ამიტომაც, მათგანაც მხოლოდ დადებითი ემოცია და მუხტი მოდის. მათი მხრიდან, მეტი ჩართულობაა, რაც სასწავლო პროცესს უფრო სრულფასოვანს ხდის.

მართალია, განათლების სფეროში სრულიად დაუგეგმავად მოვხვდი, მაგრამ მას შემდეგ, რაც მასწავლებელი ვარ და მოსწავლეების სუნთქვით ვსუნთქავ, ბევრი რამ ვისწავლე – ამ ხნის განმავლობაში ვსწავლობდი, ვვითარდებოდი და შეცდომებსაც ვუშვებდი (მათ გარეშე ხომ წარმოუდგენელია?!).

წარმატების საიდუმლო

ჩემი, როგორც მასწავლებლის, ყველაზე დიდი „კოზირი“ „კეთებით სწავლაა“. ამ მეთოდს ეფექტურად ვიყენებ სამოქალაქო და გეოგრაფიის საგნების სწავლებისას. ბუნებრივია, მოსწავლეები ერთმანეთისგან განსხვავდებიან, ზოგს ლექციით სწავლა უფრო უყვარს და მოსწონს, ზოგს – წერით; ზოგიერთ კლასში პრეზენტაციებითა და ჯგუფური პროექტებით სწავლება მოსწონთ, რაც „კეთებით სწავლის“ მეთოდის შემადგენელი ნაწილია. გაგიმხელთ, მეც ეს მეთოდი მხიბლავს ყველაზე მეტად, რადგან კეთებით სწავლა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტრატეგიაა და ხელს უწყობს ცოდნის, უნარ-ჩვევების ფორმირებას. სტრატეგია ეხმარება მოსწავლეს, აქტიურად ჩაერთოს საგაკვეთილო პროცესში, თავად იყოს მონაწილე ახალი ცოდნის შეძენის პროცესის.

რაც შეეხება „ქართულს როგორც მეორე ენას“, ამ გაკვეთილებზე, 45 წუთის განმავლობაში, ვსაუბრობთ მხოლოდ და მხოლოდ ქართულად, იმ ლექსიკით, რაც ბავშვებს აქვთ: ზოგს – მწირი ლექსიკა და ზოგს – უფრო მდიდარი. ამ დროს, უფრო სუსტი აკადემიური მოსწრების მოსწავლეებს ვაკავშირებ უფრო მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეებთან. ამით ვცდილობ, ერთმანეთს ურთიერთობით ასწავლონ და შემდეგ, ყველამ ერთად, უკეთესად ისწავლონ ქართული ენა. პედაგოგიკაში მეცნიერულად დასაბუთებულია, რომ ადამიანი ყველაზე კარგად მაშინ სწავლობს, როცა სხვას ასწავლის – მე ვსწავლობ იმით, რომ მათ ვასწავლი და ისინი სწავლობენ იმით, რომ ერთმანეთს ასწავლიან, ერთგვარ სამკუთხედს ვკრავთ, რომელიც ყველასთვის სასარგებლოა.

უხილავი ძაფი მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის

ყველა მოსწავლე სამყაროს თავისებურად აღიქვამს, გრძნობს და განიცდის. მთავარია, მოვუსმინოთ მათ გულისცემას და მაჯისცემას. მერწმუნეთ, ჩვენსა და მათ შორის (ასე დაყოფა არც შეიძლება, რადგან ჩვენ ერთნი ვართ) უხილავი ძაფი არასოდეს გაწყდება. მთავარია სწორი მიმართულების მიცემა – დანარჩენს ბავშვები ჩვენზე უკეთ ხედავენ და აღიქვამენ.

მასწავლებლის ფუნქცია მოსწავლესთან მხოლოდ გაკვეთილზე ურთიერთობით არ შემოიფარგლება, როგორც ეს საბჭოურ სკოლაში ხდებოდა. მაშინ ბავშვები მასწავლებელს მხოლოდ კლასში ხედავდნენ, გაკვეთილის გარდა ის არ ურთიერთობდა მათთან. ზოგადად, მიუღებელი იყო, მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად სადმე წასულიყო, ბურთი ეთამაშა და ა.შ. ახლა, რა თქმა უნდა, ეს სტერეოტიპები დაიმსხვრა. დიფერენცირებული მიდგომებით ვხელმძღვანელობ და ვცდილობ, საგაკვეთილო პროცესი მაქსიმალურად ღია და მიმზიდველი გავხადო მოსწავლეებისთვის. ხანდახან ეზოში გასვლაც გვიწევს და სპორტულ აქტივობებთან ინტეგრირება.

ახლა უცებ გადავხედე ჩემ მიერ გადადგმულ თითოეულ ნაბიჯს. ძალიან რთულია, გახდე ბავშვების მეგობარი მასწავლებელი, იმის მიღწევა ურთულესია, რომ ერთმანეთის მაჯისცემით ცხოვრობდეთ, მოუთმენლად ელოდებოდნენ გაკვეთილის დაწყებას, ზარის დარეკვით საინტერესო საუბრის გაწყვეტა კი გულს სწყვეტდეთ. მცირეოდენი დაკვირვებაა საჭირო იმის აღმოსაჩენად, თუ როგორ უხარიათ, როცა მათი ტერმინოლოგიით მეტყველებ და პირიქით, როცა ბავშვები შენს ფრაზებს იყენებენ ერთმანეთთან კომუნიკაციის დროს. საერთო ჯამში, მოსწავლისა და მასწავლებლის ურთიერთობის „აქილევსის ქუსლად“ ნდობის არარსებობა მიმაჩნია. ამასთან, აღმოვაჩინე, რომ არც ლანგრით მორთმეული ნდობაა კარგი. ყველაფერს დამსახურება უნდა!

უპირველესი საზრუნავი თანაბარი სიყვარულია

მოსწავლეებზე ყურადღებისა და სიყვარულის თანაბრად განაწილება მასწავლებლის უპირველესი საზრუნავი უნდა იყოს. სათქმელად ადვილია, თუმცა ურთულესია ნათქვამის რეალურად განხორციელება.

ბოლო დროს, აქტიურად ვაკვირდები და ერთგვარ კვლევას ვატარებ საკუთარ თავზე. მაქსიმალურად ვიკავებ თავს მოსწავლეების ერთმანეთთან შედარებისგან, ერთი კონკრეტული მოსწავლის მიღწევის გამო ვაქებ მთლიან კლასს, რაც ერთი ორად ამაღლებს კლასის მოტივაციას. და პირიქით, მოტივაციის დაქვეითებას იწვევს გამორჩეულ მოსწავლესთან ვინმეს შედარება (თუნდაც კარგი აკადემიური მოსწრების მქონე ბავშვის). ეს განსაკუთრებით თვალშისაცემია დაწყებით კლასებში.

აქტივობები, რომელიც პროფესიულად გვზრდის

სკოლის ადმინისტრაცია ხელს გვიწყობს მაქსიმალურად ჩავერთოთ სხვადასხვა პროექტში. ამჟამად, სკოლაში სამი მიმდინარე პროექტია:

➪ განათლების სამინისტროსა და კინოცენტრის ერთობლივი პროექტი „კინო სკოლაში“, რომელიც „თავისუფალი გაკვეთილების“ ფარგლებში დაფინანსდა. პროექტის წარმომადგენელი სკოლაში მე ვარ და ყოველკვირეულად ვმართავთ ერთობლივ კინოჩვენებას, ბოლოს ვაჩვენეთ იტალიური კინოშედევრი „ველოსიპედების გამტაცებლები“;

➪ მეორე პროექტი „მკითხველთა კლუბია“ (სამოქალქო განვითარების ინსტიტუტისგან მივიღეთ გრანტი). პროექტი მიზნად ისახავს, სკოლის ბიბლიოთეკის ბაზაზე, მკითხველთა კლუბის ჩამოყალიბებას – თანამედროვე, მოზარდებისთვის საინტერესო ლიტერატურით ბიბლიოთეკის გამრავალფეროვნებას, ყოველკვირეული შეხვედრების გამართვას სხვადასხვა კლასის მოსწავლეებთან. ერთად ვკითხულობთ წიგნებს და შემდეგ ვაწყობთ დისკუსია-დებატებს. პროექტი მართლა ძალიან კარგად მუშაობს, ვერ წარმოიდგენთ, როგორ აამაღლა ქართული ენის ცოდნა. ვცდილობთ, მოზარდებისთვის ნაწარმოებები აქტუალურ თემებზე შევარჩიოთ და, რაც მთავარია, მაქსიმალურად ვითვალისწინებთ, რომ მათი ასაკის შესაბამისი იყოს. ყურადღებას ვამახვილებთ პრობლემურ საკითხებზეც – ბულინგი თუ ასაკობრივი თავისებურებები. დიდი სიფრთხილეა საჭირო, რადგან არასწორად შერჩეულმა წიგნმა და ძალ-

პროფესია პედაგოგი

დატანებით კითხვამ, შეიძლება, ისეთი უკუშედეგი მოგვცეს, რომ ბავშვი წიგნს აღარასოდეს გაეკაროს. მსგავს პროექტებს ძალიან კარგი შედეგი და გავლენა აქვს მოსწავლეებზე.

გაზაფხულზე, ერთი კვირის განმავლობაში, დანიელ მასწავლებლებთან ერთად რუსთავში ვიმყოფებოდი. პროექტი ევროკავშირის მხარდაჭერით განხორციელდა, პროგრამის Erasmus+ ფარგლებში, დანიური ორგანიზაციის Global School Partnership Denmark და ქართული არასამთავრობო ორგანიზაციის InoChange პარტნიორობით.

ერთი კვირის განმავლობაში, ქართველი მასწავლებლების ჯგუფი დანიელი კოლეგებისა და სამოქალაქო აქტივისტების გამოცდილებას ვიზიარებდით თემებზე – ინკლუზიური განათლება; ინტერკულტურული განათლება; კულტურათშორისი დიალოგი. ძალიან საინტერესო შეხვედრები იყო, ბევრი ახალი ინფორმაცია მივიღე, რომელსაც, ბუნებრივია, ჩემს გაკვეთილებზე დავნერგავ.

შეხვედრას ერთი სასიხარულო ამბავიც მოჰყვა, მივიღე მოწვევა და მომავალი წლის ზაფხულში, ერთი თვით, დანიაში უნდა ჩავიდე და ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემას გავეცნო.

სევდანარევი ჩანახატები

* * *

სოფელში ჩასვლისთანავე, მშობლებთან შეხვედრის შემდეგ, დროს იმ ადგილების შემოვლას ვუთმობ, სადაც გავიზარდე და ჩამოვყალიბდი პიროვნებად. სახლი, ეზო, უბანი, თხილის ბაღები, უკან – დათოვლილი კავკასიონი, ორღობეში კოცონი, ყველაფერი რაც გმატებს ძალას და ენერგიას, თავს გაგრძნობინებს პიროვნებად!

* * *

წარმოსახვები ხომ ოცნებების განსხეულების ერთ-ერთი გზაა.

თვალებს რომ ვხუჭავ და ჩემს თავს წარმოვიდგენ, ასეთ სურათს ვხედავ – ვდგავარ გზაზე, უმეტესად გზატკეცილზე, პირით მზისკენ. სახეში მონაბერი ჰაერის ტალღების გამო, თვალებს ღიმილით ვნაბავ და სუნთქვის რიტუალებს ვასრულებ მანამ, სანამ რამე შემხვედრი ტრანსპორტის ხმა არ „დამირღვევს“ იდილიას.

მერე ვხედავ, როგორ ვცდილობ მოძრაობა გამომივიდეს – გადავადგილდე და ახალ გზებს შევხვდე. ერთ-ერთი ასეთი დგომისას, კახიდან მომავალი რამდენიმე თვის უნახავი მეგობრები მაჩუქა ამ დალოცვილმა და გულუხვმა გზამ!!!

* * *

ძაღლები მიყვარს განსაკუთრებით! შეიძლება კარგად ვერ ვმეგობრობ მათთან, მაგრამ ვაფასებ მათ! მარტოობაც მიყვარს – ტაო-კლარჯეთით აღტაცებული და, ამავდროულად, სევდამორეული, იშხანის დიდებულ ტაძარში, ჯგუფს გამოვეყავი და შორიდან ვუსმენდი გიდის საუბარს და თან ათას რამეზე ვფიქრობდი...

ამ დროს, ერთი ძაღლი მოვიდა და გვერდით ამომიდგა. თითქოს ჩემი გულისტკივილი გაიგო... მიმანიშნა, მეც მარტო ვარო და ადგილის ბატონიც მე ვარ და პატრონიცო.

ასეც აღმოჩნდა, ამ ძაღლს იშხანის ტაძარში აქვს დადებული ბინა და ორ პატარა ლეკვს ზრდის...

ამ დროს შენთან ერთად მთელი სამყაროა

ძალიან ბევრს ვმოგზაურობ საქართველოში, ხშირად მოსწავლეებთან ერთადაც, მინდა ხოლმე ის აღფრთოვანება, რასაც მე ვგრძნობ, ქართულმა კულტურულმა მემკვიდრეობამ და ბუნებამ მათშიც გამოიწვიოს. მინდა, საქართველო შეიგრძნონ და თავდავიწყებით შეიყვარონ. სიამოვნებას მანიჭებს, როცა ამას ვაღწევ და ამით ქვეყნისთვის ერთ პატარა აგურს ვდებ. სადაც ჩვენ ვართ, პატრიოტიზმსა და კრეატივს არ სძინავს.

ადამიანები აღქმის უნარით ვართ დაჯილდოებული. როდესაც ვხედავთ რაიმე გასაოცარს, ჩვენს ტვინს მიეწოდება იმპულსები, რომელიც გვმართავს, გვიბიძგებს, ჩამოვჯდეთ და ვუყუროთ მას საათობით. სხვადასხვა გარემოს განსხვავებულად აღვიქვამთ. ზოგს შეუძლია საათობით ჩამოჯდეს ზღვის პირას და უყუროს დაუსრულებელ სივრცეს, ზოგს კი, ეს მოსაწყენად მიაჩნია.

მარტოც დავდივარ ხოლმე ლაშქრობაში, არავინ თქვას, რომ მარტო მოგზაურობა მოსაწყენია. მიდიხარ უცნობ გზაზე, მიიკვლევ ბილიკებს, ლახავ წინაღობებს და ამ დროს, შენთან ერთად მთელი სამყაროა. გესმის ბუნების მელოდია – ერთდროულად უკრავს მოცარტი, შუბერტი, ბახი, შტრაუსი, შოპენი – მთავარია, დაიჭირო ბუნების მუსიკა. მოძრაობ და შენთან ერთად გადაადგილდებიან ჭიანჭველები, კალიები, ხვლიკები, დაფარფატებენ პეპლები. ყველაზე მთავარი – მარტო დარჩენილს ფიქრის მეტი არა დაგრჩენია რა. ფიქრობ წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე.

მერე, ავტოსტოპით მგზავრობა, არა აქვს მნიშვნელობა, პირველივე გაგიჩერებს თუ მე-18 გამვლელი მანქანა. მახსენდება, როგორ დააგვირგვინა ახალქალაქის რაიონის სოფელ კოთელიიდან მომავალმა კეთილმა ადამიანმა ერთ-ერთი ჩემი ლაშქრობა.

დაფარული მანძილი – სოფელი ტბისი, დევის ნაპრალი, არსენას ციხე და ბირთვისის ციხე. ვინ მოთვლის, რამდენი ასეთი ბედნიერი წუთი მქონია.

ქვემო ქართლი, თელეთის ყაყაჩოები! როგორია ამას ყოველდღე აუარ-ჩაუარო?! შეიძლება გულგრილობის გამოჩენა?

არავითარ შემთხვევაში!..

* * *

ბედნიერებაა იყო სკოლაში, სადაც მოუთმენლად ელოდები პირველ და ბოლო ზარს, სკოლაში, სადაც ვიზრდებით (როგორც პედაგოგები) და გვიხარია ერთმანეთის წარმატება!.. გვახარებს ღიმილი, ბედნიერი სახეები და ერთად ყოფნა ფორმალურ და არაფორმალურ გარემოში! ამას მე მხოლოდ სამსახურს ვერ დავარქმევ, რადგან ის ყველაფერზე მეტია. ეს ყველაფერი ჩემი მეგობრის (და ახლა უკვე ჩემი დირექტორის) შორენა ხუხუას დამსახურებაა, სწორედ მან მიბიძგა, მეკეთებინა საქმე, რომელმაც ჩემი ცხოვრება მთლიანად შეცვალა, ვინ იცის – იქნებ ჩემი მოსწავლეებისაც.

ესაუბრა ლალი ჯელაძე

საუბრები ლიტერატურაზე

თანამედროვე ცხოვრების აქტუალური პრობლემა გურამ გეგეშიძის „შურისძიების“ მიხედვით

ვეხმაურები ლალი ჯელაძის სტატიას „ეს არ არის ჩემი არჩევანი“

საზოგადოების გულგრილობა, ინდიფერენტულობა და სკეპტიციზმი კაცობრიობის ყველაზე დიდი სენია. სამწუხაროდ, დღესაც პრობლემას წარმოადგენს ადამიანური ურთიერთობების გაუფასურება, სწორედ ამიტომ გადავწყვიტე, განვიხილო გურამ გეგეშიძის 60-იან წლებში დაწერილი მოთხრობა „შურისძიება“, რათა კიდევ ერთხელ ერთად დავფიქრდეთ იმ პრობლემაზე, რომელიც ავტორმა ამ ნაწარმოებით დაგვანახა.

ობლობით გამოწვეული ტვირთი და ცხოვრების უსამართლობის განცდა მრავალი ბავშვის ხვედრია, მათ მიმართ საზოგადოება გულგრილია, ხშირ შემთხვევაში, ისინი დამნაშავეებად ყალიბდებიან და საზოგადოებისთვის საფრთხეს წარმოადგენენ. აღნიშნული პრობლება კარგადაა გაშუქებული ილია ჭავჭავაძის მოთხრობაში „სარჩობელაზედ“.

გურამ გეგეშიძის მოთხრობის გმირი რეზიკო უდედმამო და ადრედაკაცებული ბიჭია, ერთი იმათგანი, როგორებიც ალბათ ჩვენთან სულ ახლოს ცხოვრობენ, თუმცა ჩვენგან დამოუკიდებლად. მათი უბედურება და ტანჯვა, დაუცველობა და მიტოვებულობა ააშკარავებს, რომ ადამიანთა ცხოვრება სიყვარულზე და გულისხმიერებაზე არ არის დამყარებული. ეთიკურ თემაზე დაწერილ პატარა მოთხრობაში მთელი სიმწვავითაა გადმოცემული უდედმამობით დაჩაგრული ორი ობოლი ძმის ცხოვრება, საზოგადოების გულგრილობით გამოწვეული პრობლემები და რეზიკოს განუწყვეტელი სოციალური და ცხოვრებისეული პრობლემებით აღძრული კონფლიქტები.

ცხოვრების უსამართლობის ფარული განცდა და ობლობით გამოწვეული არაბავშვური ტვირთი რეზიკოს პიროვნებაში იწვევს გაორებას, აგრესიას, მის გონებაში, ჩვეულებრივ, ერთმანეთს ებრძვის საპირისპირო ფსიქიკურ-ემოციური განწყობილებები. ეს კარგად ჩანს მდინარისა და ქუჩის ეპიზოდებში, განსაკუთრებით კი, უმცროსი ძმის ცემის მომენტში. რეზიკოს ძალიან უყვარს პატარა ძმა და შეგნებული აქვს, რომ ის არავის უნდა დააჩაგვრინოს, თუმცა მისგან უსიტყვო მორჩილებას ითხოვს და როდესაც წინააღმდეგობას ხვდება, გაცეცხლებული, წკეპლით სცემს. სწორედ ამ მომენტში იწყება რეზიკოს გონებაში ატეხილი შფოთითა და ამბივალენტური გრძნობებით გამოწვეული ფსიქიკური გაორება.

ძმის ცემის ეპიზოდში ადამიანური ბუნების გაუცნობიერებელი ინსტინქტებია გაშიშვლებული. მის ცნობიერებაში, ერთდროულად, თავს იყრის ურთიერთსაპირისპირო განცდები: სიძულვილი, ბრაზი და სიყვარული, მხეცური დაუნდობლობა და საოცარი სიბრალული, რომელსაც ერთდროულად გრძნობს ძმისადმი, საკუთარი თავისადმი და სულ სხვა რაღაცისადმი. მას მთელი არსებით სძულდა რაღაც, სძულდა ეს სიბრაზე, რომელსაც ასე აუტანლად განიცდიდა და *„მხეცური გამძვინვარებით იქნევდა წკეპლას, რათა მოეშორებინა თავიდან ეს მძიმე და მწარე შეგრძნება და ურტყამდა თავის ძმას, უმწეოს და საბრალოს, მაგრამ უზომოდ საყვარელს. მან კარგად იცის, რომ ბავშვს დედა არ ჰყავს და აუტანლად ებრალება ეს ბავშვი, რომელიც ერთადერთი სისხლი და ხორცია მისი, მაგრამ ამავე დროს საშინლად სძულს და მოულოდნელი ბრაზი აწვება ყელში, ისე რომ სუნთქვა ეკვრის“* (გეგეშიძე, 1971:113). ობლობის ხვედრით გამოწვეული გულგრილი სოციალური გარემო რეზიკოში თავდაცვის ინსტინქტს აძლიერებს. მას უმძაფრდება სოციალური განსხვავებულობის შეგრძნება, კარგად იცის, რომ თავი არავის უნდა დააჩაგვრინოს. თხრობაში და მოქმედების განვითარებაში აშკარად ჩანს რეზიკოს კონფლიქტი ცხოვრებასთან, ცხოვრებასთან კონფლიქტი გამოსავალს პოულობს ომარას მიერ უმცროსი ძმის დაჩაგვრის ეპიზოდში. ომარა, რომელიც რეზიკოზე ბევრად დიდია, ბოროტად გაეხუმრა რეზიკოს ძმას. რეზიკომ შური უნდა იძიოს. ომარასთან კონფლიქტს რეზიკოს აიძულებს ისიც, რომ ძმას სასტიკად მოექცა და ახლა სინანულს ჰყავს შეპყრობილი. რეზიკო ომარასთან შურის საძიებლად მიდის. ომარასთან მისულს, მისი ცხოვრებისეული გარემოს გაცნობისას, ღრმად ჩამარხული უკმაყოფილება ცხოვრების მიმართ კიდევ უფრო უძლიერდება. ომარას ჰყავს დედა, რეზიკოს არ ჰყავს, ომარა უზრუნველი ბიჭია, რეზიკო მასზე პატარაა და ობლობის გამო იძულებულია უმცროს ძმასაც უპატრონოს, რეზიკო ცხოვრებასთან ყოველდღიურ ბრძოლაშია ჩაბმული, რაც ასევე განასხვავებს მზრუნველობამოკლებულ ბავშვს თავისი ლაღი მეტოქისგან. რეალური ცხოვრებისეული პრობლემების გამწვავებული აღქმა რეზიკოში იწვევს დაეჭვებას, სიფრთხილის გამძაფრებულ აღქმას, ბრძოლის უნარის გაძლიერებას.

ეს ყველაფერი რეზიკოს ფარულად უბიძგებს შეიძულოს და დაუპირისპირდეს ომარას, რომლის მიმართაც მანამდე კეთილად იყო განწყობილი. რეზიკოს სიძულვილი აძლევს ძალას და ამარჯვებინებს თავისზე უფროსზე და ფიზიკურად ძლიერზე.

შურისძიება ომარაზე ეს იყო რეზიკოს შურისძიება საკუთარ თავსა და ცხოვრებაზე, რომელიც ხშირად ისე ააწყობს საქმეს, როგორც არ უნდა მოინდომო, მაინც ვერას გახდები.

ავტორის აზრით, შურისძიება ვერ აგვარებს პრობლემას, რადგან ცხოვრების უსამართლობა შურისძიებით არ აღმოიფხვრება.

ჩვენი საზოგადოების დამოკიდებულება საერთოდ ბავშვებისადმი და კერძოდ, უპატრონო ბავშვებისადმი კარგად ჩანს გალაკტიონ ტაბიძის ლექსში „ბავშვები კაფეში“.

„მე არაერთი მინახავს ბავშვი,
პატარა, როგორც ოქროს წიწილი,
ეტლში, სალონში, აკვანში, ბაღში
გაისმის მათი ზარის სიცილი.
მაგრამ კონტრასტი არის ამ ბედის
გულცივი, მკაცრი და გამყიდველი –
მშიერი სახით კაფეში შედის
ბავშვების გუნდი შიშველ-ტიტველი.“

გურამ გეგეშიძის „შურისძიების“ შეჯამებად ჩავთვლი თალმუდის სიტყვებს: *„თუ მე არ ვდგევარ ჩემს თავთან, ვინ დადგება ჩემთან? თუ მე მხოლოდ ჩემთვის ვარ, ვინ ვარ მე? თუ არა ახლა, აბა როდის?“*

ნონა კევლიშვილი
სსიპ თბილისის №190 საჯარო სკოლის
ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი

გამოყენებული ლიტერატურა:
1. გ. გეგეშიძე, „მოთხრობები“,. „მერანი“ 1971;
2. მ. კვაჭანტირაძე, „მე ჩემს საკუთარ შენობას ვაგებ“, თბ. „მერანი“ 1991.
3. http://literatura.mcvane.ge/main/literatura/poezia/23184-bbbbbbbbb-bbbbbb-bbbbebbbb-bbbbbeb.html

საუბრები ლიტერატურაზე

რატომ უნდა ისწავლებოდეს სკოლაში ილია ჭავჭავაძის პოემა „აჩრდილი“ სრულყოფილად?!

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა, პირველ რიგში, ისევ კითხვით უნდა დავიწყოთ – რატომ აღარ ისწავლება ილიას ეს ნაწარმოები სკოლაში? პასუხი ცალსახად მარტივია, იმიტომ, რომ რთულია. რთულია ასახსნელად, რთულია გასაგებად (ყოველ შემთხვევაში, ასეთი აზრი არსებობდა იმ საზოგადოებაში, რომლის კომპეტენციაშიც შედის ამგვარი საკითხების გადაწყვეტა). ამ აზრს ნამდვილად ვეთანხმები – პოემა საკმაოდ მძიმე და დატვირთულია როგორც აზრობრივი, ასევე იდეურ-თემატური თვალსაზრისით, მაგრამ ეს აზრი და თემატიკა იმდენად აუცილებელი და საჭიროა ახალგაზრდის მოქალაქეობრივი და სახელმწიფოებრივი აზროვნების ჩამოსაყალიბებლად, რომ ეს სირთულე უნდა დავძლიოთ. შევეცდები, მოკლედ განვიხილო ნაწარმოები და შეძლებისდაგვარად წარმოვაჩინო ის იდეა, რომლის გამოისობითაც ილიამ ეს დიდებული პოემა შექმნა.

ილიამ ნაწარმოებს ეპიგრაფად წარუმძღვარა რუსთველის სიტყვები:

„რა ვარდმან მისი ყვავილი გაახმოს, დაამჭნაროსა,
იგი წავა და სხვა მოვა, ტურფასა საბაღნაროსა.“

ქალბატონი მაია ჯალიაშვილი თავის წერილში – „ილია ჭავჭავაძის „აჩრდილის“ სწავლებისათვის“ – წერს: „ეპიგრაფში აისახა გამეორებისა და ცვლის ერთიანობა და აუცილებლობა“. მისი დედააზრი პოემაში განსხეულდა.

„აღმობრწყინდა მზე დიდებულადა,
და გაანათა ქვეყანა ბნელი,
კავკასის მთების წვერთა მაღალთა
ზედ გადაჰფინა ოქროს ნათელი.“

ნაწარმოების დასაწყისშივე ილიამ ორი უკიდურესობა გამოკვეთა – ეს გახლავთ „ქვეყანა ბნელი“ და „ოქროს ნათელი“, რომელმაც ის გაანათა. პოეტის გულს ვერ ხიბლავს, მზერას ვერ ატყვევებს დილის სილამაზე, რადგან „ამგვარი დილა **ქვეყანას ბედკრულს** ბევრჯერ სხვა დროსაც გასთენებია, მაგრამ არც ერთხელ **მის გულსა ვნებულს,** მადლი ცისა არ მიჰკარებია.“

„მზით გაბრწყინებულ“ ქვეყანაში, ერთი შეხედვით, „ძალუძს კაცსა ბედნიერება“, მაგრამ ილიას ბედნიერად არ ეგულება **თავისუფლებაწართმეული** ერი.

პოეტს ფიქრთა მოზიარე და საქართველოს გულშემატკივარი მოხუცის აჩრდილი მოევლინება, რომელსაც „ცალის ხელითა ეჩრდილნა თვალნი“ და „შორს გაჰყურებდა“.

ილია თვალს გაადევნებს მოხუცის მზერას და არაგვის ხეობის ჭვრეტით ტკბება. არაგვი ხომ მომსწრეა საქართველოს უამრავი ჭირ-ვარამისა; მისი ხეობის ყოველი გოჯი მამა-პაპის სისხლითაა მორწყული, ძვლებითაა გაპოხიერებული: „შენს ზვირთებს შორის ჩემი **ქვეყნისა, გრძელი მოთხრობა** დამარხულია, და წმინდა სისხლი ქართველებისა შენს კიდეებზედ გადასხმულია“. მოხუცის მზერა ვერ დაატყვევა არაგვისა და თერგის თვალწარმტაცმა ხეობამ, იგი უფრო შორს, სივრცეში იმზირებოდა **„სრულ საქართველო მოჩანდა შორსა“.** გაკვირვებული პოეტი ეკითხება: „საიდამა ხარ ვინ მოგავლინა“; პასუხად მოხუცი საქართველოს მიმართავს:

„მარად და ყველგან საქართველოვ მე ვარ შენთანა,
მე ვარო შენი თანამდევი, უკვდავი სული,
შენ შვილთა სისხლით გული სრულად გარდამებანა,
ამ გულში მე მაქვს შენი აწმყო, შენი წარსული“.

მოხუცი შეძრულია საქართველოს მდგომარეობით. ქართველთ დავიწყებიათ, „რომ ქვეყნად ცასა ღვთად მოუცია მარტო მამული“, „შური, ლალვა, და მტრობა“ ისეა ფეხმოკიდებული, რომ თავად მამულიშვილთაც აღარ სწამთ მამულის აღდგენის შესაძლებლობა და „დაუგდიათ იგი, ვით ტაძარი გაუქმებული“. მოხუცის აზრით, გონიერების მოხმობაა საჭირო, თუ არ სურთ ქართველთ მარტოდენ ცრემლთა ღვრა, რომელიც მათ უძლურებას ღაღადებს. ეს საკითხები დღესაც ისევე, და უფრო მძაფრადაც, აქტუალურია, როგორც მაშინ, XIX საუკუნის საქართველოში იყო, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ დღეს ცრემლს აღარ ვღვრით, იმდენად, რამდენადაც ცოტა თუ აცნობიერებს დღევანდელ უსუსურ და უძლურ მდგომარეობას და, ილიასაგან განსხვავებით, ნაკლებად გვტკივა მოყვასის ტკივილი. თავად მოყვასის ცნებაც კი გაუცხოვდა დღევანდელი საზოგადოებისათვის. მამულისა და სამშობლოს მხსნელი უკვდავების შარავანდედითაა მოსილი:

„წმიდაა იგი, ვისაც ეღირსა მამულისათვის თავის დადება,
ნეტა იმ ვაჟკაცს, ნეტა იმ გმირსა,
ის თავის ხალხში აღარ მოკვდება!“

საქართველოს ადრეც ბევრჯერ განუცდია დაცემა, განადგურება, მაგრამ ჭეშმარიტ გმირებს უხსნიათ იგი. აწმყოში კი **„გმირის დამბადი დიდი საგანი“** „სპობილა და წარწყმედილა“. გაუნელდათ რა ქართველთ მამულის ტრფობა, მომძლავრდა ბოროტება. ქვეყანა იძულებული გახდა „უცხო კალთის ქვეშ, ვითა ობოლი, შეფარებულიყო“. ამდენად, ის „დიდი საგანი“, თავისუფლება ერისა, რომელიც მომავალ მხსნელს აღზრდიდა, ქვეყანაში აღარ არსებობს. „საქართველოს თანმდევი, უკვდავი სული“ მძიმედ განიცდის ეროვნულ ტკივილებს; იგი ხედავს, თავგზააბნეული ქართველები „თვით ანგრევენ მას, რისი აღდგენაც სურთ, თვით შველიან მას, რასაც ებრძვიან“. არც ეს პროცესია თანამედროვე საქართველოსათვის უცხო.

აკაკი ბაქრაძე ბრძანებდა – ილიამ საქართველოს დაჭრილი, დასახიჩრებული სხეული ქირურგის მაგიდაზე დადო და ქირურგიული სიზუსტით შეუდგა მისი ჭრილობების დამუშავებას. ამდენად, ილია სოციალურ პრობლემებსაც ეხება – მოხუცის აზრით, „ქვაა ბატონის გული“, მონისათვის ლამაზი ქალის ყოლაც კი საშინელებაა, რადგან „გახდიან ყვავილს ფეხქვეშ სათრევლად“.

ამ პოემაში ილიამ ზუსტად განსაზღვრა XIX საუკუნის მისია: „შრომისა ახსნა ეგ არის ტვირთი, ძლევამოსილის ამ საუკუნის“.

ეროვნული მთლიანობა დარღვეულია, ზოგი ფუფუნებით ცხოვრობს და გაჭირვებულ მოძმეს არ ეხმარება, ვაჭარი მხოლოდ მოტყუებაზეა გადასული, თბილისში თითქოს დუღს სიცოცხლე, მაგრამ ყველაფერი მოჩვენებითი და ამაოა, რადგან „დაჟანგებულ ბორკილზედ“ ცვლიან თავისუფლებას. თვით მცხეთაც კი, „სავანე გმირთა“, სამიკიტნო დაბად ქცეულა და „პირუტყვთ ქელვითა შეგინებულა“.

მოხუცი იხსენებს ალექსანდრე მაკედონელის შემოსევას და გარდასული მტრის დახასიათებაში თანამედროვე დამპყრობლის, რუსეთის სახე ამოიცნობა:

„თვით ერის ენას, მაგ ერის განძს იგი სდევნიდა,
სძაგდა ყოველი, რაშიც იყო ერის ღირსება,
რაშიაც ერი თვისთა ნიჭთა იყო მსახველი...
რისთვისაც დაშვრა მამა-პაპის გული და ხელი.“

როდესაც ხმალს „მამულის ტრფობამ“ მოჰკიდა ხელი, მტერი განიდევნა საქართველოდან და ფარნავაზ მეფემ **ქვეყანას „ვით მზე მოჰფინა თავისუფლება“.** სწორედ მამულისადმი ტრფობის ქადაგებაა მთელი პოემა. ამის გარეშე ილიას ვერ წარმოუდგენია ქვეყნის თავისუფლება. სამწუხაროდ, არც ეს პრობლემა გამქრალა XXI საუკუნის საქართველოში, უბრალოდ „ფერი იცვალა“.

საუკუნეების განმავლობაში საქართველოს ბევრი ჭირი და ლხინი უნახავს, მისი ცხოვრების მდინარე ბევრჯერ დამშრალა და შევსებულა. ბოლოს კი უცხო ძალას „შური მტრობა და ლალვა“ გაუღვივებია ქვეყანაში, რის შედეგადაც, მდინარის ნაპირები მორღვეულა და ზვირთნი **„სხვადასხვა ტოტად გადაგდებულან“.** მოხუცის ფიქრი მხოლოდ ერთს დასტრიალებს, თუ როდის შეიკვრებიან **„ერთის ფიქრით, ერთის ოცნებით“, „იგი ტომნი ცად აწვდილი, მძლავრ კავკასისა“**. ნაწარმოების მთავარი აზრი და იდეა სწორედ ამ სიტყვებში დევს. საქართველო თავისი არსებობის განმავლობაში ყოველთვის იყო ცენტრი კავკასიისა. საქართველოს სახელმწიფოებრიობის დაკარგვით კი ამ ცენტრმა რუსეთში გადაინაცვლა. ამ რეალობის წყალობით კი, თუ საქართველო კავკასიის გამაერთიანებელი იყო, „ბარაქალა, ერთმორწმუნე რუსეთი“ მის დამშლელ, და მეტიც, დამპირისპირებელ ძალად მოევლინა კავკასიას. სამწუხაროდ, იმპერიული ზრახვები „რუსეთუმე“ ქართველების განსაკუთრებული „ღვაწლის“ წყალობით განხორციელდა კავკასიაში. ეს, შეიძლება ითქვას, XIX საუკუნიდან მოყოლებული შეუქცევადი პროცესია, მიუხედავად საბჭოთა იმპერიის დაშლისა. საბჭოთა ბელადის, ლენინის სიტყვები გახლავთ: „მტერი დამარცხებულია და არა მკვდარი“. ჩვენ ან გამოგვრჩა მხედველობის არედან, ან თავს ვიტყუებთ, როცა გვგონია, რომ საბჭოეთის დაშლით რუსეთი გარდაიცვალა და იდეოლოგია, რომელიც ამ ჩრდილოელი დათვის წინააღმდეგ იყო მიმართული, დავიწყებას უნდა მიეცეს.

„საქართველოს თანმდევი, უკვდავი სული“ შესთხოვს ღვთისმშობელს:

„დედავ ღვთისაო, ეს ქვეყანა შენი ხვედრია,
შენს მეოხებას ნუ მოაკლებ ამ ტანჯულ ხალხსა...
ჰოი, სახიერო! ცისარტყელა განავლე ცასა,
რათა წარღვნისა მოლოდინი წარხოცო ხალხსა.“

ღვთისმშობელმა შეისმინა მოხუცის ვედრება და „მსწრაფ გადმოეშვა ცისა კიდესა შვიდფეროვანი სარტყელი ცისა!“ ეს სარტყელი, მაცხოვრის კვართი და ყოვლადწმინდა ქალწული არის გარანტი საქართველოს მთლიანობისა.

თამარ კობერიძე
ვლადიმირ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის 199-ე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

გამოყენებული ლიტერატურა:
1. ილია ჭავჭავაძე – ქართული საყმაწვილო ლიტერატურის ბიბლიოთეკა, ტომი 4;
2. აკაკი ბაქრაძე – „მწერლობის მოთვინიერება“;
3. მაია ჯალიაშვილი – „ილია ჭავჭავაძის „აჩრდილის“ სწავლებისათვის“.

ინფორმაცია

5-6 წლის ბავშვები სკოლისთვის ემზადებიან

პირველად განათლების ისტორიაში, 5-6 წლის ასაკის ბავშვების სკოლისათვის მოსამზადებელი პროგრამა შეიქმნა. სასკოლო მზაობის პროგრამა, თამაშით სწავლების მეთოდით, 5-6 წლის ასაკის ბავშვების სკოლისათვის მომზადებას ითვალისწინებს, ხელს უწყობს ბავშვის მრავალმხრივ და სრულფასოვან განვითარებას, მოტორული, სოციალური, ემოციური, შემეცნებითი უნარების გამომუშავებას, კომუნიკაციისა და მეტყველების განვითარებას. პროგრამა უზრუნველყოფს ბავშვის სათანადოდ მომზადებას პირველი კლასის მოსწავლის მიმართ არსებული მოლოდინებისა და გამოწვევებისათვის, ეხმარება თითეულ მათგანს, მაქსიმალურად განვითაროს თავისი პოტენციალი და ჩამოუყალიბდეს საჭირო უნარ-ჩვევები მომავალი ცხოვრებისა და წარმატებულ მოქალაქედ ფორმირებისათვის.

სასკოლო მზაობის პროგრამა ითვალისწინებს, 30 კვირის განმავლობაში, დღეში, სამსაათიან დატვირთვას და დანერგილია როგორც თბილისის, ასევე რეგიონების საბავშვო ბაღების უფროსი ასაკის ჯგუფებში. პროგრამის ფარგლებში, შექმნილია აღმზრდელის სახელმძღვანელო (გზამკვლევი), აქტივობების კრებული და ტრენინგმოდული აღმზრდელ-პედაგოგებისთვის. ახლახან გამოიცა და უკვე მუნიციპალიტეტებს გადაეცათ სასკოლო მზაობის პროგრამის აქტივობების კრებულის მე-2 ნაწილი.

გლობალური პროგრამა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, „მხიარული სტარტების“ ეროვნულ ფედერაციასთან ერთად, გლობალური პროგრამის „ჯანმრთელი ბავშვები“ ფარგლებში, ახორციელებს პროექტს „მხიარული გაკვეთილები კვებაზე“. პროექტის მიზანია, ხელი შეუწყოს სასკოლო ასაკის ბავშვებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას, პოპულარიზაცია გაუწიოს ჯანსაღი კვების, ჰიგიენის, ფიზიკური აქტივობის მნიშვნელობას და სხვ.

პროექტის ფარგლებში შემუშავებული მასალა უფასოდ გადაეცემა ყველა ბენეფიციარს, კერძოდ: სახელმძღვანელოები II და III კლასის მოსწავლეებისთვის, რომლებიც მოიცავს გაკვეთილებს, ვიქტორინებსა და სავარჯიშოებს ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ; მეთოდური სახელმძღვანელო II და III კლასის დამრიგებლებისთვის, რომელიც მოიცავს ინფორმაციას გაკვეთილებისა და ვიქტორინების ჩატარების შესახებ; ასევე ვიზუალური, შემეცნებითი მასალა გადაეცემა მშობლებს.



პროექტის ფარგლებში, ყოველწლიურად, ტარდება ტრენინგები პედაგოგებისთვის, პროგრამის მიმდინარეობის მონიტორინგი, მცირემასშტაბიანი კვლევა მოსწავლეთა და მშობელთა ცოდნის დონის შესაფასებლად ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპებზე.

გამოცდილება

როგორ ვიყენებ მნემოტექნიკის ელემენტებს გერმანული ენის გაკვეთილებზე

მოსწავლეებში მასალის ხარისხიანად და ხანგრძლივი დროით დამახსოვრებისთვის, მათი შემეცნებითი უნარების განვითარებისთვის, გონების გახალისებისა და სასწავლო პროცესის საინტერესოდ წარმართვისთვის, სისტემატურად ვიყენებ მნემოტექნიკის ელემენტებს. ვიზუალურად მრავალფეროვანი სავარჯიშოების გამოყენება, დამახსოვრების სხვადასხვა მეთოდი მოსწავლეებისთვის სწავლის პროცესის გამარტივების საშუალებას მაძლევს.

მნემოტექნიკის ელემენტებს ვიყენებ როგორც ლექსიკური, ასევე გრამატიკული მასალის შესწავლა-დამახსოვრებაში. მოსწავლეების დახმარებით, ვადგენ სხვადასხვა სახის სქემას /ასოციაციური დაფა, სიტყვების ჯაჭვი, რუკა, კარტოთეკა, რებუსი, რითმა, ხელოვნური სიტყვა, შარადა, ატლასი/. ძალზე ეფექტურია ასევე თამაშების გამოყენება /Pantomimegeschichten, Geschenkespiel, Parodieren,Spiele mit Alltags-situationen (im Zug, im Restaurant, im Hotel, zu Hause am Wochenende, zu Besuch და ა.შ.).

გთავაზობთ რამდენიმე საინტერესო და სახალისო სავარჯიშოს მნემოტექნიკის ელემენტების გამოყენებით:

Kartothek

გერმანულ ენაში არსებითი სახელების სქესის სწორად დამახსოვრება მოსწავლეებისთვის ადვილი არ არის. არსებით სახელებს ვანაწილებ ფურცლებზე, ფერების მიხედვით, არტიკლის გარეშე. მოსწავლეებმა იციან, რომ ცისფერ ფურცელზე მამრობითი სქესის არსებითი სახელი იწერება, ვარდისფერზე – მდედრობითი, ხოლო მწვანეზე – საშუალო. თითოეულ ფურცელს, უკანა მხარეს, აწერია შესაბამისი ქართული მნიშვნელობა. ფურცლებს ვათავსებ სპეციალურ კარტოთეკაში. 15-20 დღეში ერთხელ, ვიმეორებთ სიტყვებს, მოსწავლეებს ვუჩვენებ ფურცლის ქართულად დაწერილ მხარეს. კარტოთეკაში ცალკე ვალაგებ სიტყვებს, რომლებიც კარგად არ იციან, ვიმეორებ ხელახლა, გარკვევით, შენელებულ ტემპში და მომავალ გამოკითხვას ისევ ამ სიტყვებით ვიწყებ.

Assoziationen /Vorstellungsverknüpfung/

სხვადასხვა ხერხის გამოყენებით, მოსწავლეებს ხელოვნურ ასოციაციებს ვუქმნი: სიტყვებს შორის მსგავსება, ერთნაირი ფუძით ნაწარმოები ან საყრდენი სიტყვების პოვნა. მაგალითად: weiß აღნიშნავს თეთრ ფერს, ზმნა wissen (ცოდნა) აწმყო დროის მხ. რიცხვის პირველ და მესამე პირში – ich weiß, er weiß – ზუსტად იგივეა. შესაძლებელია ბევრი მსგავსი მაგალითის მოყვანა. მოსწავლეები, ამ თვალსაზრისით, ძალზე საინტერესო და სახალისო მაგალითებს აღმოაჩენენ ხოლმე. სიტყვის მარტივად დამახსოვრებაში დიდ დახმარებას მიწევს ასევე მსგავსება გერმანულ და ინგლისურ სიტყვებს შორის. ეფექტურია აგრეთვე ასოციაციური რუკების შექმნა. ამ ხერხს ხშირად ვიყენებ ჯგუფური მუშაობის დროს. ყველა ჯგუფს ვაძლევ განსხვავებულ სიტყვას. მაგალითად: Zeit, Ausflug, Schlaf,Ruhe და ა.შ. გამარჯვებულია ის ჯგუფი, რომელიც ასოციაციურ რუკაზე მეტ სიტყვას დაა-ფიქსირებს.

სიტყვების ათვისების ხარისხის შემოწმებაში მეხმარება შემდეგი სავარჯიშო: სიტყვებს გარკვევით, ნელ ტემპში ვიმეორებ /მაღალ კლასებში სიტყვების რაოდენობა უფრო მეტია/. მოსმენის შემდეგ, მოსწავლეები რვეულში წერენ სიტყვებს, რომლებიც დაამახსოვრდათ. გამარჯვებულია მოსწავლე, რომელიც უშეცდომოდ მეტ სიტყვას დაწერს.

ამ მეთოდის ხშირმა გამოყენებამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა როგორც ლექსიკური ერთეულების დამახსოვრების ხარისხი, ასევე მართლწერის კულტურა.

Buchstabensalat

დაფაზე ვწერ კონკრეტულ სიტყვას, მაგალითად: Pause. მოსწავლეები, სიტყვის თითოეული ასოს მიხედვით, მიყოლებით ასახელებენ სიტყვებს. ის ჯგუფი ჩაითვლება გამარჯვებულად, ვინც მეტ სიტყვას დაასახელებს.

Akronymwörter

დაფაზე ვწერ შედგენილ სიტყვაში შემავალი სიტყვების საწყის ასოებს, რიგის მიხედვით. მოსწავლეები ამოიცნობენ სიტყვას, ასახელებენ მას და მის შესაბამის ქართულ მნიშვნელობას, მაგალითად: Kin.....+ Wag...= Kinderwagen, Blu....+ Gar.....= Blumengarten და ა.შ.

Verse, Reime, Scharaden, Rätsel, Bildertexte

დასახელებული საშუალებები – Verse, Reime, Scharaden, Rätsel, Bildertexte – ეხმარება მოსწავლეებს როგორც ლექსიკური, ასევე გრამატიკული მასალის დამახსოვრებაში, მაგალითად: Akkusativ ბრუნვის წინდებულებზე: Ich kann ohne dich nicht leben, bitte sei nicht gegen mich. Ich gehe durch die tiefsten Schluchten, um die halbe Welt für dich, სხეულის ნაწილების შესწავლის დროს: Zum Däumchen sag ich eins, zum Zeigefinger zwei, zum Mittelfinger drei, zum Ringfinger vier, zum kleinen Finger fünf! Hab alle ins Bettlein schlafen gelegt, still das keines sich mehr regt! და ა.შ.

Satzergänzungen

ეს სავარჯიშო წინადადებებში გამოტოვებული სიტყვების შევსებას გულისხმობს. მოსწავლეები სწორად განსაზღვრავენ მოცემული სიტყვების მნიშვნელობებს, გაიაზრებენ გამოტოვებული ადგილის მიხედვით ჩასასმელ სიტყვას, ჩაწერენ წერტილების ნაცვლად და ასახელებენ სრულყოფილ წინადადებას. ასევე მოსწავლეებისთვის საინტერესოა ტექსტებზე მუშაობა, რომლებშიც, სიტყვების ნაცვლად, ნახატებია ჩასმული.

განსაკუთრებული ხალისით და მონდომებით ეკიდებიან მოსწავლეები სხვადასხვა სიტუაციებთან დაკავშირებულ თამაშს:

Pantomimegeschichten

მაგალითად: ერთი მოსწავლე მოძრაობით განასახიერებს, რა გააკეთა კვირის ბოლოს, ხოლო მეორე მოგვითხრობს, რა გაიგო მოძრაობების მიხედვით. ამ აქტივობის საშუალებით ხდება მოსწავლეების შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზაცია, რაც განაპირობებს კრეატიული პროდუქტის შექმნას.

Geschenkespiel

ჯგუფური თამაში წრეში – მოსწავლეები, ჯგუფების მიხედვით, ასახელებენ სასურველ საჩუქარს, თანდათანობით აჩქარებენ სიტყვის წარმოთქმის ტემპს. გამარჯვებულია ჯგუფი, რომელიც უფრო სწრაფად ასახელებს მეტ სიტყვას (საჩუქარს).

Parodieren

ერთი მოსწავლე მეორეს ყურში უჩურჩულებს სიტყვას, რომელზეც ის პაროდიას ასრულებს, გამარჯვებულია მოსწავლე, რომელიც პაროდიას სწორად და სწრაფად ამოიცნობს.

Spiele mit Alltagssituationen

მოსწავლეები, მიღებული დავალების მიხედვით, წარმოადგენენ დიალოგს, მაგალითად: im Cafe. დიალოგში გამოყენებული სათანადო სიტყვიერი და ჟესტური მინიშნებებით, მოსწავლეები ამოიცნობენ, სად ხდება მოქმედება.

მნემოტექნიკის ელემენტების სისტემატურად გამოყენებამ, როგორც საგნის მასწავლებელს, კარგი პროფესიული გამოცდილება მომცა. გაკვეთილებისთვის შექმნილ ახალ რესურსებს ნაყოფიერად ვიყენებ სასწავლო პროცესში. ვიზუალური სახით მასალის წარმოდგენის დროს ეფექტი ბევრად ძლიერია. სქემები, ნახატები, გრაფიკული გამოსახულებები საშუალებას მაძლევს, მოსწავლეებს ახალი მასალის დამახსოვრება გავუადვილო. აღსანიშნავია, რომ დასახელებულ აქტივობებში სუსტი აკადემიური მოსწრების მოსწავლეების მონაწილეობამ დადებითად იმოქმედა მათ სასწავლო განწყობაზე. მოსწავლეთა აქტიურად ჩართვამ როგორც საგაკვეთილო პროცესში, ასევე სასწავლო რესურსების შექმნაში, მათი მოტივაცია აამაღლა.

მნემოტექნიკის ელემენტების გამოყენებით ბევრი სხვა აქტივობის მოფიქრება და განხორციელებაა შესაძლებელი. მთავარია, რესურსების სახით, რამდენად კრეატიულ პროდუქტს შევთავაზებთ მოსწავლეებს. ყოველთვის დიდი ინტერესით ვეცნობი და ვიზიარებ სხვა მასწავლებლების პროფესიულ გამოცდილებას ჩემს საგანში და ვიყენებ ყოველდღიურ პედაგოგიურ საქმიანობაში. ვფიქრობ, შემოთავაზებული მასალა გერმანული ენის მასწავლებლებს სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და პრაქტიკული გამოცდილების დაგროვებაში წაადგება.

ნანა ქირია
უფროსი მასწავლებელი,
ზუგდიდის მე-10 საჯარო სკოლა

ინფორმაცია

თამარობა – 2017

დაბა ადიგენის საჯარო სკოლაში (დირექტორი – **გიორგი ქომეთიანი**) საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრამ, **ეთერ ბუცხრიკიძის** ხელმძღვანელობით, 14 მაისს, ჩაატარა სასკოლო ღონისძიება „თამარობა – 2017“. ღონისძიებისათვის მზადების პროცესში აქტიურად მონაწილეობდნენ VIII კლასის მოსწავლეები, რომელთა მიზანი იყო გაეცოცხლებინათ თამარ მეფის ეპოქა და წარმოეჩინათ XII-XIII საუკუნეების საქართველო, როგორც უძლიერესი ქვეყანა, მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკა, ეკონომიკა, განათლება და კულტურა. შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე ტრაპიზონის იმპერიის დაარსება ქართული პოლიტიკისა და დიპლომატიის დიდი გამარჯვება იყო და ეყრდნობოდა საქართველოს სიძლიერესა და იმ საერთაშორისო ვითარებას, როგორიც ჯვაროსანთა IV ლაშქრობა და ბიზანტიის იმპერიის დასუსტება იყო. ჩრდილოეთ ირანში ლაშქრობით კიდევ უფრო დიდი სახელი მოიხვეჭა საქართველომ, რაც თამარ მეფის ტიტულატურაშიც აისახა: „მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა, სომხთა, შირშვან-შაჰი, შაჰინ-შაჰი, მეფე და დედოფალი სრულიად აღმოსავლეთისა და დასავლეთისა მპყრობელი თამარ“.

მოსწავლეებმა ხაზი გაუსვეს თამარის ბრძნულ პოლიტიკას და გამოკვეთეს, რომ საქართველოს ტერიტორიულ გაფართოებასთან ერთად იგი ანარმოებდა აქტიურ პოლიტიკას კავკასიაში, მცირე აზიასა და აღმოსავლეთის ქვეყნებში, ამიტომაც ეწოდა მის ეპოქას „ოქროს ხანა“.

ბოლოს მოსწავლეებმა, სცენარის სახით, წარმოადგინეს შამქორისა და ბასიანის ბრძოლები, წაიკითხეს თამარ მეფისადმი მიძღვნილი ლექსები, შეასრულეს მუსიკალური ნომრები, მათ შორის „შავლეგო“ და „მხედრული“.

ღონისძიებას ესწრებოდნენ პედაგოგები და მოსწავლეები.

ეთერ ბურცხრიკიძე

* * *

ლოს-ანჯელესში, Intel-ISEF-ის სამეცნიერო და საინჟინრო საერთაშორისო კონკურსზე, რომელშიც მსოფლიოს 78 ქვეყნის მოსწავლეები ეჯიბრებოდნენ, IV ადგილის მფლობელები გახდნენ საქართველოს წარმომადგენლები – კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის 199-ე საჯარო სკოლის მოსწავლეები: **ალექსანდრე ხოხიაშვილი**, **დიმიტრი კორკოტაშვილი** და **თამარ კორკოტაშვილი**.

* * *

ბოლო 4 წელია, ყოველწლიურად, საქართველოს სკოლის 1 კურსდამთავრებული მასაჩუსეტსის ტექნოლოგიის ინსტიტუტის (MIT) საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი ხდება. მათგან სამი – **გიორგი ცხადაძე**, **დიმიტრი ცხოვრებაძე** და **ელენე მაჩაიძე** კომაროვის სკოლის კურსდამთავრებულია; **აკაკი მარგველაშვილი** კი ქუთაისის ფიზიკა-მათემატიკის სკოლის კურსდამთავრებული.

კომაროვის სკოლისა და კლუბი „კომაროველის“ მოწვევით, საქართველოში MIT-ის სტუდენტთა მიღების სამსახურის წარმომადგენელი **მორა მერფი** ეწვია. ვიზიტის ფარგლებში, შედგა შეხვედრა სკოლისა და კლუბის წარმომადგენლებთან, ჩატარდა პრეზენტაციები კომაროვის სკოლის საშუალო საფეხურისა და სხვა სკოლების მოწვეულ მოსწავლეებთან, რომლებსაც აქვთ სურვილი, სწავლა გააგრძელონ მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში. მოსწავლეებმა ამომწურავი ინფორმაცია მიიღეს MIT-ში საბუთების მიღების, გადარჩევის, სტიპენდიებისა და ზოგადად უნივერსიტეტის შესახებ. ჩატარდა თავისუფალი გაკვეთილიც მე-9 კლასის მოსწავლეებთან.

მედიაწიგნიერება

მსხვერპლად შეწირული პერსონაჟები

საგანი: ქართული ლიტერატურა
თემა: მსხვერპლად შეწირული პერსონაჟები – ალუდა ქეთელაური და კრუს ხიმენესი
გაკვეთილის მიზანი:
ესგ. ქართ. XI. 5. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა ეპოქის ტექსტების გაანალიზება მათში ასახული ინფორმაციის, თემების, იდეებისა და პრობლემატიკის თვალსაზრისით.
შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:
– ადარებს ერთი და იმავე თემების, იდეების, პრობლემების ინტერპრეტაციას სხვადასხვა ეპოქის ტექსტებში და მსჯელობს მსგავსება-განსხვავებაზე;
– შეაფასებს ეპოქისთვის დამახასიათებელ თემებს, იდეებსა და პრობლემებს ამავე ეპოქის სოციალურ-კულტურული კონტექსტის გათვალისწინებით.
მედიაწიგნიერება: მედიარესურსების კრიტიკული ანალიზი და შეფასება, ბეჭდურ და მულტიმედია რესურსებში სხვადასხვა პერსპექტივისა და ხედვის იდენტიფიცირება, ანალიზი და განხილვა.
წინარე ცოდნა: მოსწავლეებმა იციან განსახილველი მხატვრული ტექსტები.

აქტივობა 1
მასწავლებელი მოსწავლეებს ეკითხება, რა იციან მსხვერპლშეწირვის შესახებ და პასუხებს ჩამოწერს დაფაზე.

აქტივობა 2
მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს ვიდეორგოლს – „რისთვის გვჭირდება მსხვერპლი“, რუსულ ენაზე
(Зачем нам нужно жертвоприношение – https://www.youtube.com/watch?v=RPuY-akLUjU)
და სათითაოდ ურიგებს მათ თარგმნილ ტექტს ინფორმაციის უკეთ აღსაქმელად. ავალებს ტექსტის ინდივიდუალურ წაკითხვას.

ტექსტი – „რისთვის გვჭირდება მსხვერპლი“

წყალი, საჭმელი, საქონელი, ადამიანი – ყველაფერი ეს ჩვენი წინაპრების მიერ მსხვერპლშეწირვისთვის გამოიყენებოდა. გვეუბნებიან, რომ მსხვერპლშეწირვა ძველი ადამიანის საშინელი, სისხლიანი განსჯა იყო. ჩვენ ამისგან ძალიან შორს წავედით. ჩვეულებრივ მსხვერპლშეწირვა ასე აიხსნება: ადამიანებს ეშინოდათ ბუნების და წყალობა რომ მიეღოთ გამოგონილი ღმერთებისგან, სწირავდნენ მათ ყველაზე საუკეთესოს, რაც ჰქონდათ. ჩვენ, თანამედროვე ცივილურ ადამიანებს, არ გვჭირდება ქონების ასეთი უაზრო დაკარგვა, მით უფრო – რიტუალური მკვლელობები.

ნუთუ მართლა ყველაფერი დამოკიდებული იყო არარეალურ ღმერთებსა და უაზრო იმედზე? რენე ჟერარს ამაზე თავისი პასუხი აქვს: „ადამიანები ღმერთებისთვის კი არ წირავენ, არამედ საკუთარი თავისთვის“.

წარმოვიდგინოთ ადამიანთა ძველი საზოგადოება. მას ჯერ კიდევ არა აქვს კანონმდებლობა, სახელმწიფო, რელიგია, ეკონომიკური სისტემა, კულტურა, მაგრამ აქვს ის, რაც თუნდაც ადამიანთა ასეთ დაჯგუფებას სერიოზულად განასხვავებს ცხოველებისგან. ცხოველს არაფერი არ უნდა. ის ინსტინქტით მოქმედებს. ადამიანს აქვს სურვილები, მაგრამ თავიდანვე ისინი არ არის მასში ჩადებული. ადამიანმა ზუსტად არ იცის რა უნდა. ვეძებთ მაგალითს და გვსურს ის, რაც – სხვას. ამას ჟერარი უწოდებს მიმიტიზმს, მიბაძვას. მიბაძვა აუცილებელია. მის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა რამის შესწავლა და საერთოდ ადამიანთა თანაცხოვრება, მაგრამ ამით მივდივართ წინააღმდეგობამდე. წინააღმდეგობა ადამიანს არ აჩერებს მაშინაც კი, როცა ის მკვლელობამდე მიდის. ასეთი ძალადობა შეიძლება იყოს მაშინ, როცა არ არსებობს კულტურული შეზღუდვა, კანონები ან არ არსებობს ძალა, რომელიც მას შეაჩერებს. მეტოქეობა გრძელდება და ძლიერდება. გარშემო ყველას მოიცავს, ჩნდებიან ახალ-ახალი მონაწილეები. ადრე თუ გვიან, ვიღებთ სიტუაციას „ყველა ყველას წინააღმდეგ“.

ჟერარის თეორიის თანახმად, ასეთი კრიზისი მიდის იქამდე, რომ ხდება ყველაზე საშინელი რამ, მაგრამ ამავე დროს ჩნდება ხსნის შესაძლებლობაც. აგრესია „ყველა ყველას წინააღმდეგ“ ერთისკენ მიიმართება. იმ ერთს ერთობლივად კლავენ ან მოიკვეთენ, რაც პრაქტიკულად იგივე მკვლელობაა. ასე დგება მშვიდობა. იწყება კათარზისი, რითაც ქრება კონფლიქტები, დაპირისპირება. ერთის მსხვერპლის გაღებით უმრავლესობა აღწევს ერთობას, მაგრამ მშვიდობა არ შეიძლება დიდ ხანს გაგრძელდეს. ახალი კონფლიქტები მოიცავს საზოგადოებას, კვლავ იქმნება კრიზისი. ამ დროს ადამიანები ინტუიციურად იმეორებენ იმავეს, რაც მოხდა ადრე, წირავენ შემრიგებელ მსხვერპლს. ეს არის სწორედ მსხვერპლშეწირვა. ეს არის ძალადობა, რომელიც ყველამ უნდა ჩაიდინოს, რათა ის უფრო დიდი ძალადობის ქაოსში არ გადაიზარდოს, საიდანაც არ იქნება გამოსავალი. რომ შენარჩუნდეს მშვიდობა და სტაბილურობა, რიტუალი კვლავ და კვლავ უნდა გამეორდეს. სამსხვერპლო ადამიანი შეიძლება შეიცვალოს ცხოველით, მცენარით ან რამე სიმბოლურით, მაგრამ აზრი იგივე რჩება: მსხვერპლშეწირვა არ სჭირდებათ ღმერთებს, არამედ – ადამიანებს. ის იცავს მათ საკუთარი აგრესიისაგან. ადამიანები ინარჩუნებენ ერთობას და დროებით მშვიდობას.

საიდან მოვიდნენ ღმერთები, რომელთაც მსხვერპლს სწირავდნენ? ჟერარი გვიჩვენებს, რომ მსხვერპლს ძველი ადამიანისთვის ორმაგი დატვირთვა ჰქონდა: მათ არ შეეძლოთ პასუხისმგებლობის აღება, კრიზისისა და საკუთარი კონფლიქტების გამო და მთელ ცოდვებს გადააბრალებდნენ მსხვერპლს, რომელიც სძულთ ადამიანებს, მაგრამ, ამავე დროს, ახსოვთ, რომ მისი განადგურებით დადგა მშვიდობა. ასე ხდება მსხვერპლი, ერთდროულად, როგორც დამანგრეველი, ასევე მწყალობელი. მას კლავენ და, ამავე დროს, ხსნას სთხოვენ. ეს მსხვერპლი არის ძველი რელიგიების ღმერთი.

ეს გაორება კარგად ჩანს ყველა მითში. მაგალითად, დიონისე, ის არის შეშლილობის, ნგრევის და, ამავე დროს, ღვინის, მუსიკისა და მხიარულების ღვთაება. ერთის შეცვლა მეორეთი არ არის ადვილი. კრიზისი იცვლება დღესასწაულით, დღესასწაული გადაიზრდება ქაოსში. გვეჩვენება, რომ ეს წრებრუნვა შეიძლება გაგრძელდეს სამუდამოდ, მაგრამ საბოლოოდ ესეც იცვლება. თანამედროვე კულტურაში არ არის მსხვერპლშეწირვა ისე, როგორც ძველ რელიგიებში, მაგრამ არის ამ მოვლენის მომცველი ბევრი კულტურული ფორმა. მათ მასობრივი აგრესიის განცდა და მასობრივი აღტკინება აერთიანებს. მაგალითად, კორიდა, თეატრი, პოლიტიკური დემონსტრაცია, სპორტული შეჯიბრებები, როკკონცერტები, ეპიკური კინო.

მსხვერპლშეწირვა ნამდვილად არის სისხლიანი და შემაშინებელი მოქმედება, რომელიც გვიცავდა რაღაც უფრო შემაშინებლისა და სისხლიანისაგან. მსხვერპლშეწირვას ადამიანები მიმართავდნენ, როგორც ძალადობის პროფილაქტიკას. ძალადობის დასაწყისი გვიხსნის ველური ძალადობისაგან. თუმცა ეს უფრო და უფრო ნაკლებად ეფექტურია. ძველი ადამიანების რიტუალური ძალადობა ბევრად უფრო მოკრძალებულია თავისი მასშტაბით, ვიდრე თანამედროვე ძალადობა. თუმცა ძველმა კულტურებმა ათასწლეულებს გაუძლო. მე-20 საუკუნის ტოტალიტარულმა რეჟიმებმა მილიონობით ადამიანი იმსხვერპლა, მაგრამ მათ მხოლოდ რამდენიმე ათეულ წელს გაუძლეს.

ძალადობა ეს არის კაცობრიობის ნარკოტიკი. თუ ადრე საკმარისი იყო ცოტა რაოდენობით ინექცია, დღეს გვჭირდება ძალიან დიდი დოზა.

მოდი, ერთი წუთით დავფიქრდეთ იმაზე, თუ დღეს რა საშუალებით ნარჩუნდება მშვიდობა და წონასწორობა.

აქტივობა 3
კლასი იყოფა სამ ჯგუფად და მუშაობს ტექსტის გასააზრებელ სქემებზე. შემდეგ მოსწავლეებს საკუთარი ნამუშევრების პრეზენტაცია ევალებათ.

ტექსტის გასააზრებელი სქემები სავარაუდო პასუხებითურთ:

სქემა 1
დავალება: წაიკითხეთ ტექსტი და, ტექსტის მიხედვით შეავსეთ ქვემოთ მოცემული კოგნიტური სქემა.

მოვლენა	მოვლენის მიზეზი	შედეგი
მსხვერპლშეწირვა	გაუცნობიერებელი შიში	წყალობის გამოთხოვა

სქემა 2
დავალება: ტექსტის მიხედვით შეავსეთ ქვემოთ მოცემული დროის დიაგრამა.

როდის?	რა მოხდა?	რა აერთიანებთ მათ?
ძველად	სწირავდნენ ღმერთებს მცენარეს, ცხოველს, წყალს, ადამიანს.	მასობრივი აგრესიის განცდა და აღტკინება.
ახლა	ჩაენაცვლა სხვადასხვა კულტურული ფორმა: კორიდა, თეატრი, პოლიტიკური დემონსტრაცია, სპორტული შეჯიბრებები, როკ კონცერტები, ეპიკური კინო.	

სქემა 3
დავალება: წაიკითხეთ ტექსტი და ტექსტის მიხედვით შეავსეთ ქვემოთ მოცემული სქემა – მოვლენათა ჯაჭვი.

მოვლენა №1	მოვლენა №2	მოვლენა №3	შედეგი

შევსების შემდეგ, სქემა, სავარაუდოდ, შემდეგ სახეს მიიღებს:

მოვლენა №1	მოვლენა №2	მოვლენა №3	შედეგი
ადამიანმა ზუსტად არ იცის რა უნდა. ეძებს მაგალითს და სურს ის, რაც – სხვას.	მივდივართ წინააღმდეგობამდე. წინააღმდეგობა ადამიანს არ აჩერებს მაშინაც კი, როცა ის მკვლელობამდე მიდის.	აგრესია „ყველა ყველას წინააღმდეგ“ ერთისკენ მიიმართება. იმ ერთს ერთობლივად კლავენ ან მოიკვეთენ, რაც პრაქტიკულად იგივე მკვლელობაა.	ასე დგება მშვიდობა. იწყება კათარზისი, რითაც ქრება კონფლიქტები, დაპირისპირება. ერთის მსხვერპლის გაღებით უმრავლესობა აღწევს ერთობას, მაგრამ მშვიდობა არ შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს. ახალი კონფლიქტები მოიცავს საზოგადოებას, კვლავ იქმნება კრიზისი. ამ დროს ადამიანები ინტუიციურად იმეორებენ იმავეს, რაც მოხდა ადრე, წირავენ შემრიგებელ მსხვერპლს.

გრძელდება ჯგუფური მუშაობა.

სქემა 1
მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს კოგნიტური სქემის შევსებას ვაჟა-ფშაველას პოემა „ალუდა ქეთელაურისა“ და ოთარ ჭილაძის ლექსის „ადამიანი გაზეთის სვეტში“ მიხედვით.

ტექსტები	მოვლენა	მოვლენის მიზეზი	შედეგი
„ალუდა ქეთელაური“	ქისტებისა და ხევსურების დაპირისპირება	რელიგიური განსხვავებულობა	ალუდას ფერიცვალება და ამბოხი
„ადამიანი გაზეთის სვეტში“	ამერიკელი ჯარისკაცებისა და პანამელი პატრიოტების დაპირისპირება	ძლიერნი ძალადობენ სუსტებზე, რომელთაც სამშობლო უყვართ	კრუს ხიმენესის ფერიცვალება და მსხვერპლშეწირვა.

სქემა 2
დავალება: მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს, მხატვრული ტექსტების მიხედვით, შეავსონ ქვემოთ მოცემული დროის დიაგრამა.

როდის?	რა მოხდა?	რა აერთიანებთ მათ?
პოემა „ალუდა ქეთელაურის“ დაწერის დრო – მე-19 საუკუნე	თემის წიაღში წარმოიშვა კონფლიქტი პიროვნებასა და საზოგადოებას შორის.	ალუდა და კრუს ხიმენესი მსხვერპლად შეწირულები არიან.
ლექსის „ადამიანი გაზეთის სვეტში“ დაწერის დრო – მე-20 საუკუნე	ამერიკელი ჯარისკაცები ებრძვიან პატრიოტ პანამელებს. ბრძოლაში ჩართვაზე უარს ამბობს ამერიკელი ჯარისკაცი კრუს ხიმენესი.	

სქემა 3
დავალება: მასწავლებელი მოსწავლეებს ავალებს, მხატვრული ტექსტების მიხედვით, შეავსონ ქვემოთ მოცემული სქემა.

მოვლენათა ჯაჭვი

ტექსტები	მოვლენა №1	მოვლენა №2	მოვლენა №3	მოვლენა №4	შედეგი
„ალუდა ქეთელაური“	ქისტებს უპირისპირდება ალუდა.	ორთაბრძოლის დროს იწყება პიროვნების დაბადება.	ჭეშმარიტების საკუთარ თავში დამნახავი ალუდა ცდილობს, სხვებიც აზიაროს მას. იწყება ამბოხი.	ერთადერთი მინდია ხვდება ალუდას სიმართლეს.	მსხვერპლად შეწირული ალუდა
„ადამიანი გაზეთის სვეტში“	კრუს ხიმენესი უარს ამბობს პანამელ პატრიოტებთან დაპირისპირებაზე.	პანამელ პატრიოტებთან დაპირისპირებაზე უარის თქმით იწყება კრუს ხიმენესის ფერიცვალება.	კრუს ხიმენესი გაღებული მსხვერპლით ცდილობს გახდეს „დამსჯელებსა და დასასჯელებს შორის გადებული“ ხიდი.	ტექსტი საყოველთაო კათარზისის მოწოდებით მთავრდება.	მსხვერპლად შეწირული კრუს ხიმენესი

მედიანწიგნიერება

აქტივობა 4

მასწავლებელი ასმენინებს მოსწავლეებს ოთარ ჭილაძის ლექსის „ადამიანი გაზეთის სვეტში“ ფინალს (https://www.youtube.com/watch?v=jJ4CbuZsaZk, დეკლამატორი – ზინაიდა კვერენჩხილაძე). შემდეგ აწვდის მათ ლექსის დაბოლოების ორ ვარიანტს და ავალებს, სქემის საშუალებით, შეაფასონ.

ლექსის დაბოლოების ორგვარი ვარიანტი (https://forum.ge/?f=18&showtopic=33826623&st=135):

ა) „კვლავ მავთულებზე დასხდნენ ჩიტები, ველზე დაეშვა საღამოს ბინდი, არხში თანდათან გამუქდა წყალი, გაქრნენ პალმები და ამწეები, ხოლო ბრჭყვიალა ავტომატებმა კვლავ ხალხს მიაპყრეს მკაცრი თვალები, ხალხმა კი მაღლა ასწია მაინც ამაყი თავი და პლაკატები.“

ბ) „ცა ხომ ვრცელია, მაგრამ ამ ცაშიც ეჯახებიან ღრუბლებს ღრუბლები. ამ შეჯახებას მოაქვს ქუხილი, ქუხილს კი ცეცხლი, რომ ცეცხლის შუქით გზა გაინათონ წვიმებმა ბნელში. ხოლო წვიმები კლდესაც რეცხავენ და კაცის გულსაც. და როგორც ბროლის მაღალ ტაძარში, მთელი ქვეყანა შედის წვიმაში.“

აქტივობა 5

მასწავლებელი აწვდის მოსწავლეებს ამონარიდს სტატიებიდან და უსვამს კითხვებს:

მოვლენა	მოვლენის მიზეზი	შედეგი
ა) მსხვერპლშეწირვა	ა) კრუს ხიმენესი უარს ამბობს საყოველთაო ძალადობაში მონაწილეობის მიღებაზე მსხვერპლის გაუქმების მიზნით.	ა) ძლიერდებიან პანამელი პატრიოტები.
ბ) მსხვერპლშეწირვა	ბ)კრუს ხიმენესი უარს ამბობს საყოველთაო ძალადობაში მონაწილეობის მიღებაზე მსხვერპლის გაუქმების მიზნით.	ბ) კრუს ხიმენესის მსხვერპლშეწირვით იწყება საყოველთაო კათარზისი.

ამონარიდი თორნიკე ჭელიძის სტატიიდან „ადამიანი გაზეთის სვეტში“
http://mastsavlebeli.ge/?p=9192

კრუს ხიმენესმა ალუდა ქეთელაური გამახსენა. ამ ორ პერსონაჟს შორის მსგავსება დიდია, თუმცა განსხვავებაც არის – ალუდა კლავს მტერს და ამის შემდეგ იბადება ახალ ადამიანად, ხოლო ხიმენესი ნაბიჯის გადადგმამდე ხვდება ამ ნაბიჯის უსამართლობას. ვინმეს იქნებ პათეტიკურიც მოეჩვენოს, მე კი ძალიან ამაღელვებელი მგონია ორივე პოემის ის ნაწილი, სადაც აღწერილია, როგორ ემშვიდობებიან გმირები საკუთარ წარსულს: „მაგრამ სიცოცხლე ჯერ არასოდეს არ მნდომებია ასე მტანჯველად, / ასე არასდროს მომნატრებია დედა და წყალი და ძველისძველი ჩემი საწოლი“, – ამბობს ხიმენესი; „ერთხელ მაუნდა ალუდას / ერთხელ მობრუნვა თავისა: / „მშვიდობით, საჯიხვეებო, / გამახარელნო თვალისა! / მშვიდობით ჩემო სახკარო / გულში ამშლელო ბრალისა“, – ეს უკვე ალუდა იხედება უკან. ეს იმას არ ნიშნავს, რომ მათ წარსულთან გამოთხოვება უჭირთ – პირიქით, როგორც ვაჟას სხვა პერსონაჟი აღნიშნავს ერთგან, მათი ფიქრი ძაფითაც კი არ არის მიბმული წარსულზე; ეს ადამიანური სისუსტეა, მშვენიერი სისუსტე, რომელიც გაცილებით ამაღლებულიც კია, ვიდრე მავანთა ძლიერება. სახარებაშიც ხომ ყველაზე ამაღელვებელი ის ეპიზოდია, სადაც ჯვარზე გაკრული ქრისტე მამას უხმობს. სწორედ ამ სიტყვების გაგონებისას ხვდები, რომ იესო – გწამს თუ არ გწამს, იყო თუ არ იყო, ეცვა თუ არა ჯვარს – შენიანია, ადამიანია და გაგიგებდა ან გაგიგებს.

პიროვნების სულიერი ტრანსფორმაცია ვაჟა-ფშაველას „ალუდა ქეთელაურის“ მიხედვით (ამონარიდი)
http://www.dzeglebi.ge/statiebi/sxva/pirovnebis_sulieri.html
სტატიის ავტორი – **ნინო ივანიაძე**

ალუდას პიროვნული ამბოხის უმაღლესი გამოხატულებაა ხატობის სცენა. იგი ბოლომდე სწორედ ხატობის სცენაში ამჟღავნებს საკუთარ თავს საზოგადოების წინაშე, ამიტომ ეს სცენა ემსგავსება სახარებისეული ფერისცვალების აქტს. როგორც ქრისტემ გააცხადა თავისი ღვთაებრივი ბუნება მოციქულთა წინაშე, სწორედ იმგვარად გამოამზეურა ალუდამ თავისი ჭეშმარიტი ადამიანური ბუნება თანამემამულეთა თვალწინ. ეს ჭეშმარიტი ადამიანური ბუნება სხვებისათვის ჯერ კიდევ დაფარულია. ისინი „მიწიერი კაცები“ არიან. ალუდა „შინაგანი კაცია“, არა მხოლოდ ხორციელი, არამედ სულიერი მოწიფულობის ასაკს მიღწეული (ნეტარი ავგუსტინე. ჭეშმარიტი სარწმუნოებისათვის). თანამემამულეებმა ვერ შეძლეს მათ წინაშე მდგომი ჭეშმარიტი პიროვნების, მათი მხსნელი და მათი მსხვერპლი გმირის გმირად შეცნობა. იგი მოღალატედ ჩათვალეს, როცა ხევისბერის სასტიკი უარის შემდეგ თვითონ სცადა „მოუნათლავი გმირისთვის“ მოზვერის დამწყალობება. რისხვით ანთებულმა ხევისბერმა თემიდან მოკვეთა ალუდა ქეთელაური და ნამდვილი გოლგოთა – მოყვასთაგან მოშორება მიუსაჯა.

მშობლიური კუთხის გარეშე ცხოვრება ალუდასთვის დიდი ტრაგედიაა, რადგან მისი რაინდული ჩვევები – ღირსება, სიყვარული და რწმენა (ერთგულება) სწორედ მასთან არის დაკავშირებული. იგი ქვეყნისა და ხალხის მოწინააღმდეგე კი არ ხდება, ცდილობს, გულით ნაწვდომი ჭეშმარიტება დაამკვიდროს ხალხში, გაქვავებული ადათების საწინააღმდეგოდ. ამაშია ჰუმანური მსოფლმხედველობით განმსჭვალული გმირის და, მათ შორის, ალუდას ბუნების არსი. ასეთი გმირი მხსნელია საზოგადოებისა, რომელიც მის რჩევას მიჰყვება, რაც ძალზე იშვიათად ხდება, რადგან იგი პიროვნებამდე ვერ მაღლდება. ამაში მდგომარეობს პიროვნების „ტრაგიკული ბრალი“. სწორედ ამიტომ იგი, ამასთანავე, „მსხვერპლია სოფლისა“. ალუდა ქეთელაურიც მსხვერპლად ეწირება თავის პრინციპებს და იმ გმირთა შორის დგება, „რომლებიც სცილდებიან თემს, ვითარცა ყველაზე კეთილი მტრები მთელ მსოფლიოში“.

ა) რატომ არ უჭირთ წარსულთან გამოთხოვება ალუდა ქეთელაურსა და კრუს ხიმენესს?
სავარაუდო პასუხი: მათ კარგად აქვთ გაცნობიერებული გადადგმული ნაბიჯის მნიშვნელობა. ორივეს სურვილია მსხვერპლის გაუქმება.

ბ) წმ. ჰაბო თბილელი ამბობს: სანთელს „ხვიმირსა ქვეშე“ კი არ დგამენ, არამედ – სასანთლეზე. როგორ განმარტავდით ამ სიტყვებს და რამდენად მიესადაგებათ ნათქვამი ალუდა ქეთელაურსა და კრუს ხიმენესს?
სავარაუდო პასუხი: როგორც აბო, ისე ალუდაცა და კრუს ხიმენესიც საკუთარ თავში ხედავენ განცდილის გარეთ გამოტანის აუცილებლობას. ჭეშმარიტება დაინახეს და უნდათ სხვებიც აზიარონ.

გ) როგორ გესმით „მიწიერი კაცი“ და „შინაგანი კაცი“?
სავარაუდო პასუხი: მიწიერი კაცი მხოლოდ მიწიერი ცხოვრებით, მიწიერი კანონებით ცხოვრობს. შინაგანი კაცი კი მოაზროვნე ადამიანია, რომელსაც მეტის დანახვა შეუძლია, ვიდრე მიწიერი კანონებია.

დ) რატომ არ მიჰყვებიან: მხსნელ ალუდას – თემი და კრუს ხიმენესს – თავისი თანამებრძოლები?
სავარაუდო პასუხი: თემი და კრუს ხიმენესის თანამებრძოლები „ცოდვა-ბრალით“ მონათლული სამართლის მიმდევრები არიან.

ე) გამოდგება თუ არა თანამედროვე მსოფლიოსთვის გზავნილად „ალუდა ქეთელაური“ და „ადამიანი გაზეთის სვეტში“?
სავარაუდო პასუხი: ვინაიდან თანამედროვე მსოფლიოს მსხვერპლის გაუქმება სჭირდება (უამრავი ადამიანი იხოცება და იტანჯება სირიაში, ტერორისტული აქტების გამო...), ალუდაც და კრუს ხიმენესიც განსაკუთრებულ როლს შეასრულებდნენ საკუთარი მსხვერპლის ფასად.

ვ) როგორ წარმოგიდგენიათ ალუდა ქეთელაური და კრუს ხიმენესი ინტერნეტის ეპოქაში?
სავარაუდო პასუხი: ....

ამავე დროს, მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გაიხსენონ:
ა) „ყველაზე კეთილი მტრები მთელ მსოფლიოში“;
ბ) ქრისტეს უკანასკნელი სიტყვები და დაუკავშირონ ისინი ალუდა ქეთელაურსა და კრუს ხიმენესს.

აქტივობა 6

მასწავლებელი ავალებს მოსწავლეებს, ისაუბრონ მსხვერპლად შეწირული პერსონაჟების მიზანსა და განვლილ გზაზე (უნდა გამოიკვეთოს მსხვერპლის გაუქმების მცდელობა მსხვერპლის გაღების ფასად).

აქტივობა 7

საშინაო დავალება: ესე – წუთისოფლის „კეთილი მტრები“ გოლგოთის გზაზე.

ნინო გაბულდანი
წალენჯიხის რაიონის ჯვარის №2 საჯარო სკოლა

გამოყენებული მედიარესურსები:
მულტიმედია რესურსები:
1. Зачем нам нужно жертвоприношение https://www.youtube.com/watch?v=RPuY-akLUjU
2. ლექსის ბოლო მონაკვეთი ზინაიდა კვერენჩხილაძის დეკლამაციით https://www.youtube.com/watch?v=jJ4CbuZsaZk

ბეჭდური მედიარესურსები:
1. ამონარიდი თორნიკე ჭელიძის სტატიიდან „ ადამიანი გაზეთის სვეტში“ http://mastsavlebeli.ge/?p=9192
2. ამონარიდი ნინო ივანიაძის სტატიიდან „პიროვნების სულიერი ტრანსფორმაცია ვაჟა-ფშაველას „ალუდა ქეთელაურის“ მიხედვით http://www.dzeglebi.ge/statiebi/sxva/pirovnebis_sulieri.html
3. მანანა ბოჭორიშვილი – ტექსტის გაგების არალინგვისტური ხერხები და წიგნიერება http://mastsavlebeli.ge/uploads/resursebi/bochor.pdf
4. ოთარ ჭილაძის ლექსის „ადამიანი გაზეთის სვეტში“ დაბოლოების ორგვარი ვარიანტი https://forum.ge/?f=18&showtopic=33826623&st=135
5. ვაჟა-ფშაველა, „ალუდა ქეთელაური“, მე-11 კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელო, „მერიდიანი“, თბ., 2012წ.
6. http://natiakiladze.blogspot.com/p/blog-page_46.html

ინფორმაცია

მშობელი – სკოლის თანამშრომელი

51-ე საჯარო სკოლაში აქცია გაიმართა სახელწოდებით „მშობელი – სკოლის თანამშრომელი“. აქციის მიზანი იყო მშობელთა აქტიური, რეგულარული მონაწილეობა შვილის განათლებაში, მაქსიმალური ჩართულობა დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის სასწავლო პროცესში. ყველა მშობელს ჰქონდა საშუალება, სხვადასხვა კათედრის წარმომადგენელთან ერთად, დაეგეგმა და ჩაეტარებინა გაკვეთილები, უშუალო მონაწილეობა მიეღო დირექციის, ადმინისტრაციის, მანდატურის, ექიმის, სპეცპედაგოგების, ფსიქოლოგების, ხარისხის მართვის სამსახურის საქმიანობაში. 51-ე სკოლას 200-მდე თანამშრომელი ჰყავს, ამ დღეს მათ ფუნქციებს მშობლები ასრულებდნენ.

აქტიური, რეგულარული მონაწილეობა შვილის განათლებაში, მშობლებთან დიალოგის ეს სახე ამაღლებს სასკოლო კულტურას, დემოკრატიულობის ხარისხს და სწავლების პროცესში მშობლის როლის მნიშვნელობის ერთგვარი აღიარებაა.

საინფორმაციო შეხვედრა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს სამოქალაქო თავდაცვის ჯგუფისა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ორგანიზებით, მარნეულის მუნიციპალიტეტში ინკლუზიური განათლების და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიმართ დამოკიდებულების, ცნობიერების ამაღლების მიზნით, საჯარო სკოლის მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრას ესწრებოდნენ ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები, ასევე ავღანეთში მებრძოლი ვეტერანები, რომლებმაც დამსწრე საზოგადოებას საკუთარი გამოცდილება გაუზიარეს.

2016 წელს, მარნეულის რაიონის სამ საჯარო სკოლაში, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მიერ, განხორციელდა სარემონტო სამუშაოები, კერძოდ, საიმერლოს საჯარო სკოლაში გარემონტდა სპორტული დარბაზი, სოფელ კაჩაგანის №1 საჯარო სკოლაში რეაბილიტაცია ჩაუტარდა სააქტო დარბაზს, ხოლო სოფელ კასუმლოს საჯარო სკოლაში საკლასო ოთახები გარემონტდა.

დიმიტრი უზნაძე ქართველ ბავშვთა სასწავლო საგნებისადმი ინტერესის შესახებ

ქართული ფსიქოლოგიური სკოლის ფუძემდებელი, ცნობილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე დიმიტრი უზნაძე ყოველთვის ცხოველ ინტერესს იჩენდა ქართველი ბავშვის სასწავლო საგნებისადმი დამოკიდებულების საკითხებისადმი. ამ მიზნით გასული საუკუნის 20-იან წლებში მან ჩაატარა სპეციალური გამოკვლევა. გამოკვლევის შედეგები გამოაქვეყნა პერიოდულ გამოცემებში: „ახალ სკოლისაკენ“, „ჩვენი მეცნიერება“, „სკოლა და ცხოვრება“, „საბჭოთა მასწავლებელი“ და ამავე საკითხზე თავისი შეხედულებები ჩამოაყალიბა მონოგრაფიულ გამოკვლევებში „ბავშვის ფსიქოლოგია“. თავის წერილებში, საჯარო გამოსვლებსა და პედაგოგიკის შესახებ გამოქვეყნებულ სტატიებში, ბავშვებზე ფსიქოლოგიური დაკვირვების შედეგების ანალიზის საფუძველზე, მკვლევარი ასკვნის, რომ მოსწავლეთა ინდივიდუალობის გათვალისწინება არა მარტო აუცილებელია აღმზრდელისათვის, არამედ სწორედ თვითონ აღმზრდელია მოწოდებული აწარმოოს ასეთი ინდივიდუალური კვლევა. აქვე შენიშნავს, რომ სკოლაში ასეთი დაკვირვების ორგანიზება ევალება სპეციალისტ-ფსიქოლოგს. ასეთი სპეციალისტი ფსიქოგრაფიული სქემის მიხედვით აწარმოებს დაკვირვებას მოზარდებზე, აანალიზებს მონაცემებს და აყალიბებს რეკომენდაციებს. ქართველი ბავშვი, – წერს დ. უზნაძე – სრულიად შეუსწავლელია. ქართული პედაგოგიკა ვერც თეორიულად და ვერც პრაქტიკულად ვერ განვითარდება, თუ იგი ქართულ სინამდვილეს არ გაუწევს ანგარიშს. ბავშვის შესწავლა, მისი აზრით, მრავალმხრივაა საჭირო. მასზე დაკვირვება უნდა წარმოებდეს ყოველთვის და ყოველ შემთხვევაში, ამ მიზნით აღმზრდელი უნდა აწარმოებდეს დაკვირვების რვეულს. აღმზრდელს ბავშვი ორი მთავარი თვალსაზრისით აინტერესებს: როგორც წარმომადგენელი თავისი ასაკის, სქესის და წრის ფსიქოლოგიურ თავისებურებათა მატარებელი და როგორც მატარებელი საკუთარი, კერძო და განუმეორებელი სულიერი რაობის, საკუთარი ინდივიდუალობისა. სწავლების პროცესში აღმზრდელი ინდივიდუალობის წინაშე დგას და მასზე ახდენს გავლენას. პიროვნება არა მარტივს, არამედ რთულ მთლიანობას წარმოადგენს. მის შესასწავლად, დ. უზნაძის აზრით, საუკეთესო გზა იქნება მისი ინდივიდუალური ხასიათისა და მიდრეკილების შესწავლა სასკოლო საგნებისადმი მოტივაციის თვალსაზრისით.

ბავშვებზე დაკვირვების პროცესს ჰყოფს ძირითად ეტაპებად, რომელთაგან მნიშვნელოვანია: სხეულის საერთო მდგომარეობა, მგრძნობელობა ორგანოებისა, ენის ნაკლი, მეტყველების მდგომარეობა, სხეულის ფლობა, ძალა და გამძლეობა, ცხოვრების ცოდნა, საკუთარი მდგომარეობის გააზრების უნარი სახლში და სკოლაში, პოლიტიკური და სარწმუნოებრივი შეხედულებები, სოფლად ცხოვრებისა და ბუნების განცდის უნარი, საყვარელი სასწავლო საგანი, ინტერესის მთავარი მიმართულება, განსაკუთრებული ტალანტი და სიზუსტე, წარმატების მიზეზები, ბეჯითობა და ნიჭი. დაკვირვების ეტაპებიდან დ. უზნაძე საგანგებოდ გამოყოფს გონების განვითარების ეტაპს, სადაც ირკვევა მოსწავლის გაგებისა და ყურადღების განაწილების უნარი. აქვე ფსიქოლოგი გამოყოფს მოსწავლის მეხსიერებისა და ფანტაზიის უნარს.

სასკოლო საგნებისადმი ქართველი ბავშვის ინტერესის კვლევის პროცესში ყურადღებას ამახვილებს პიროვნების ისეთ თვისებებზე, როგორებიცაა: პატიების გრძნობა, თავმდაბლობა და მორცხვობა, სიყვარული, მადლიერება, სიძულვილი, შურისძიება, სიამაყე, მოსწავლის დამოკიდებულება ლიტერატურული გმირებისადმი და სხვა თვისებები, რომელთა გაცნობიერება და გათვალისწინება აუცილებელია სასწავლო პროცესში.

ქართველი ბავშვის სასწავლო საგნებისადმი ინტერესის კვლევის მიზნით დ. უზნაძემ, გამოკითხვის წესით, ფსიქოგრაფიული ანკეტების ფორმით გამოკითხა 1665 მოსწავლე უმცროსი სასკოლო ასაკიდან 15 წლამდე, ორივე სქესის წარმომადგენლები. გამოკითხვის მიზანს შეადგენდა იმის გამორკვევა, თუ რომელ საგანს და რატომ, რა მოტივით ანიჭებდა უპირატესობას ქართველი ბავშვი; რით, რომელი პირებით და ისტორიული ფაქტებით ასაბუთებს თავის იდეალს ქართველი ბავშვი? – კითხვაზე პასუხების ანალიზმა ცხადყო, რომ ბავშვის გონებას, ძირითადად, იტაცებს ისტორიული გმირები: ერეკლე II, დავით აღმაშენებელი, გიორგი სააკაძე; მწერლებიდან პირველ რიგში ასახელებენ შოთას, ილიას, აკაკის, ვაჟა-ფშაველას. დ. უზნაძე ამ ეპიზოდში შენიშნავს, რომ აქ დასახელებული პირები სკოლის გარეთაც არიან ცნობილნი, ამდენად, შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ სკოლა ბავშვის იდეალის ჩამოყალიბებაზე ვერ ახდენს სათანადო გავლენას.

კითხვაზე, თუ რით ასაბუთებენ თავიანთ იდეალს ბავშვები – გამოყოფს რამდენიმე ფაქტორს, მათგან ყურადსაღებია: სასკოლო საგნები, ბავშვის ინტელექტუალური დონე, მისი განსწავლულობა, კითხვის სისტემატურობა და დამახსოვრების უნარი. ძირითად მოტივად დ. უზნაძეს მიაჩნია პატრიოტიზმი, თავისუფლების სიყვარული, ხალხისათვის თავგანწირვის მაგალითები, ცნობილი მეომრები და საზოგადო მოღვაწენი. საყვარელი საგნების არჩევისას სწორედ ასეთ საკითხებს ასახელებს გამოკითხულთა დიდი ნაწილი.

გამოკვლევის შედეგად მიღებულ დასკვნაში მკითხველის ყურადღებას ამახვილებს ქართველი ბავშვის საგნებისადმი ინტერესის მოტივაციის ფსიქოლოგიურ ბუნებაზე. როგორც ანალიზიდან ჩანს, ქართული ლიტერატურისადმი ინტერესი ბევრად ჭარბობს სხვა საგნებისადმი ინტერესს. გამოკითხულთა 30% ისტორიას ირჩევს საყვარელ საგნად. ქართველი ბავშვისათვის, – დასძენს დ. უზნაძე, უპირატესი სამოტივაციო ღირებულება აქვს პატრიოტულ მოტივს. ბავშვების დიდი ნაწილი, ირჩევს რა საყვარელ საგანს, წერს: „ყველაზე მეტად ქართული მიყვარს, იმიტომ, რომ ჩემი მშობლიური ენაა“, „იმიტომ, რომ ქართველი ბიჭი ვარ“, „იმიტომ, რომ დედაენაა“, „იმიტომ, რომ ქართველი ვარ“ და ა. შ. ასეთი მოტივაციით დასაბუთება საყვარელი საგნისა დადებით ემოციონალურ განწყობილებას ქმნის ბავშვის ცნობიერებაში. სასკოლო საგნის არჩევის მოტივაციებს დ. უზნაძე ყოფს კატეგორიებად, ესენია: საგნების სიადვილე, სიამოვნება, სარგებლობა მატერიალური, ფორმალური, სარწმუნოებრივი, პატრიოტული, ესთეტიკური და ა.შ. გაურკვევლად დასახელებულ მოტივებიდან გამოყოფს ისეთ კატეგორიებს, როგორებიცაა: სიამოვნება, სიადვილე, სწავლისა და ცოდნის წყურვილი, ნიჭი, შინაარსი, კარგი მასწავლებელი. სწავლების პროცესში მოსწავლის ყურადღება მიპყრობილია საყვარელი საგნისადმი. ბევრ შემთხვევაში საგნის არჩევისას მოსწავლე ასახელებს მის შინაარსს – საქართველოს ისტორიას იმიტომ ირჩევს, რომ უკეთესად გაიგოს ქართველების გმირობის შესახებ; გეოგრაფიას იმიტომ ირჩევს, რომ გაიგოს სად რომელი ქვეყნებია, ბუნებისმეტყველებას იმიტომ, რომ გაიგოს მცენარეთა აგებულება და ა.შ. ბავშვს არ აინტერესებს ყოველგვარი ცოდნა, არამედ, ის, რაც მეტ ცოდნას იძლევა არჩეულ საგანში.

ქართული, წერს დ. უზნაძე, თავისი ქართულობით, არის ძვირფასი და ძვირფასია ამით ყველასათვის კი არა, სწორედ ქართველთათვის. მოზარდს შეგნებული აქვს საკუთარი ეროვნული ვინაობა, ჩამოყალიბებული აქვს ეროვნული გრძნობა, ეს მიესადაგება უფროსკლასელთა დამოკიდებულებას სასწავლო საგნებისადმი. ის ფაქტი, რომ მოსწავლეს შეგნებული აქვს საკუთარი ეროვნულობა, პირდაპირ მიგვანიშნებს მის პატრიოტულ გრძნობებზე, რომელთა აღზრდა მამულიშვილური მოვალეობაა თითოეული აღმზრდელისათვის. ბევრ შემთხვევაში ბავშვი საყვარელ საგანს ირჩევს მისი სიადვილის მიხედვით. ეს დაადასტურა გამოკვლევების შედეგებმა. სიადვილის მოტივთან ახლოს დგას „კარგი ახსნა“, „კარგი მასწავლებელი“. გამოკითხულთა ერთი ნაწილი არ წერს, მაგრამ ადასტურებს, რომ მას საგანი შეაყვარა მასწავლებელმა. მოსწავლეები უპირატესობას იმ საგანს ანიჭებენ, რომლებიც უფრო მეტად აკმაყოფილებენ მათ ინტელექტუალურ მოთხოვნილებებს, ცნობისმოყვარეობას, ესთეტიკურ გემოვნებას და სხვ. კარგ მასწავლებელში ბავშვები ხშირად ხედავენ არა მარტო მის უნარს, როგორ გადმოსცეს სასწავლო მასალა, არამედ იმასაც, თუ როგორია მასწავლებლის ზნეობრივ-ადამიანური სახე, მისი ქცევა და ისეთი თვისებები, რომლებიც გარკვეულ ზეგავლენას იქონიებს მოსწავლის შეგნებასა და შინაგან ბუნებაზე. გამოკითხულთაგან, როგორც აღინიშნა, უმრავლესობა საგნის არჩევანის მოტივად პატრიოტიზმს ასახელებს, შემდეგ – ინტელექტუალურს, სხვა ღირებულებებს მათთვის მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს. უფრო მცირე ჯგუფისათვის საგნის არჩევის მყარი მოტივაციაა ის გრძნობები, რომელსაც იღებს სწავლების პროცესში.

ეხება რა სკოლის წინარე ასაკის ბავშვის მოტივაციის საკითხებს, დ. უზნაძე აღნიშნავს, რომ ამ ასაკის ბავშვის ინტერესი დიფუზიური ხასიათისაა, ისინი ვერ ასახელებენ აქტივობის რაიმე გამოკვეთილ ფორმას. უმცროს სასკოლო ასაკში ბავშვი ქცევის წესად, ძირითადად, ასახელებს თამაშს. მეორე ეტაპზე, თამაშის გვერდით, ასახელებს სწავლას, კითხვას, მისი ინტერესი ჯერ კიდევ არ არის მიმართული გარკვეული საგნისადმი. უფროსი სასკოლო ასაკის ბავშვის ცნობიერებაში გარკვეული შინაგანი ცვლილებები მიმდინარეობს. უჩნდება ინტერესი საკუთარ ინტელექტუალურ ძალთა ამოქმედებისა, გრძნობს ცოდნის შეძენის წყურვილს. ეს ინტერესი არა შინაარსეული, არამედ ფუნქციური ხასიათისაა. 7-8 წლის ასაკში და მომდევნო პერიოდში მოზარდის არსებაში დაგროვილი ძალები ააშკარავებენ გარკვეულ ტენდენციებს, ეს ფორმა, ძირითადად, სწავლაა. მოსწავლე გრძნობს ამ პროცესს, როგორც აუცილებელსა და ობიექტურ კანონზომიერებას. სწავლა თავისთავად ხელმძღვანელს, მასწავლებელს გულისხმობს, მის ავტორიტეტს. დ. უზნაძე გამოკვლევის ამ ადგილზე კატეგორიულად მიანიშნებს: მასწავლებელს, რომელსაც არა აქვს კარგი ავტორიტეტი, მასწავლებლად არ ჩაითვლება. სასკოლო ასაკის ბავშვის ცხოვრების შინაარსი მარტო სწავლით არ ამოიწურება. იგი ქცევის სხვა ფორმებსაც შეიცავს. ამიტომ სკოლამ ბავშვს უნდა მისცეს მისი ასაკის შესაფერისი ცოდნა ცხოვრებისეული სურათებიდან. 12-15 წლის მოსწავლე, შეიძინა რა გარკვეული ცოდნა, განწყობილია ოპტიმისტურად, მისი შინაგანი ძალები მზადაა სამოქმედოდ, სინამდვილეში შესაჭრელად და მის დასაუფლებლად.

აღნიშნული კვლევის მიზანს, უპირველეს ყოვლისა, შეადგენდა ქართველ ბავშვთა იდეალის ევოლუციის კვლევა. ამით დ. უზნაძემ დაასაბუთა საგნებისადმი ინტერესის ფსიქოლოგიური ბუნება, მოტივაციის ფსიქოლოგიური არსი, რითაც საფუძველი ჩაუყარა პიროვნების ყოველმხრივი შესწავლის აუცილებლობას სასკოლო ასაკში. გამოკვლევების შედეგების მიხედვით მკვლევარი შეეცადა ჩამოეყალიბებინა ის კანონზომიერებები, რომლებიც ორგანულად აკავშირებს მოსწავლის იდეალსა და მის მიერ არჩეული საგნის შინაარსს.

დ. უზნაძის გამოკვლევები და დაკვირვებები, მის მიერ მეცნიერულ დონეზე შესრულებული რეკომენდაციები საფუძვლად დაედო საქართველოში პედაგოგიური აზროვნების ევოლუციას. სასკოლო საგნებისადმი ქართველი ბავშვის ინტერესის კვლევა, მოტივაციის ეტაპები და ფორმები დღესაც არ კარგავენ აქტუალობას საქართველოს სასკოლო ცხოვრებაში.

გურამ თაყნიაშვილი
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის განყოფილების უფროსი

გამოყენებული ლიტერატურა

1. ქართველ ბავშვთა სასწავლო საგნებისადმი ინტერესი// ჩვენი მეცნიერება.1924. № 8. გვ.7-13.
2. სასკოლო ასაკია ქართველ ბავშვთა იდეალის ევოლუცია// თბილისის უნივერსიტეტის მოამბე.1924. №2. გვ.338-348.
3. ბავშვთა ფსიქოლოგიური დაკვირვება სკოლაში//ახალ სკოლისკენ.1924. №2-3. გვ.111-128.
4. ბავშვის ძირითადი ინტერესი სასკოლო ასაკში//საბჭოთა მასწავლებელი.1945.15 დეკემბერი.
5. აღზრდის ძირითადი ტრაგედია//სკოლა და ცხოვრება. 1980. №2. გვ.58-64.
6. ბავშვის ფსიქოლოგია. თბ.1947. გვ.340.

ინფორმაცია

პროფესიული განათლების მასწავლებლები სლოვაკეთში მიემგზავრებიან

პროფესიული განათლების მასწავლებლები, ტურიზმისა და მშენებლობის მიმართულებით, სასწავლო ტურით სლოვაკეთის პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს ეწვევიან. სასწავლო ტურის ფარგლებში, მასწავლებლებს საშუალება ექნებათ, დააკვირდნენ სასწავლო პროცესს, სამუშაო და სასწავლო გარემოს, სამუშაო შეხვედრები გამართონ სლოვაკელ კოლეგებთან და დაამყარონ მათთან თანამშრომლობა.

პროფესიული განათლების მიმათულებით განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მნიშვნელოვან რეფორმას ახორციელებს, რაც ბევრ არსებით სიახლესთან ერთად, სისტემაში პროფესიული მოდულური და დუალური განათლების დანერგვასაც გულისხმობს. რეფორმის დანერგვის ფარგლებში, მნიშვნელოვანია, გათვალისწინებულ იქნეს იმ ქვეყნების გამოცდილება, რომლებმაც, საქართველოს მსგავსად, განახორციელეს წარმატებული პროფესიული განათლების რეფორმა თავიანთ ქვეყანაში. ასეთი ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება სლოვაკეთიც, რომელსაც ავსტრია დაეხმარა პროფესიული განათლების რეფორმაში და იგი სრულად იქნა ჰარმონიზებული ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან.

სასწავლო ტურის წინ მასწავლებლებს ჩაუტარდათ საინფორმაციო სახის ტრენინგი როგორც მასწავლებელთა პროფესიული განვითარების შესახებ, ასევე ევროკავშირში საქართველოს გაწევრიანების პერსპექტივებზე. სახელმწიფო მინისტრი ვიქტორ დოლიძე და საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე ქეთევან ნატრიაშვილი პროფესიულ მასწავლებლებს შეხვდნენ და სასწავლო ტურში წარმატებები უსურვეს. ტურიდან დაბრუნების შემდეგ პროფესიული მასწავლებლები გამართავენ საინფორმაციო შეხვედრებს კოლეგებთან, სლოვაკეთში მიღებული გამოცდილების გაზიარების მიზნით.

ზაირა ბერიძე, *კოლეჯ „ბლექსის“ პედაგოგი: „პროგრამის ფარგლებში, პროფესიული განათლების პედაგოგები მივემგზავრებით სლოვაკეთში. სადაც, ერთი კვირის განმავლობაში, საშუალება გვექნება, შევხვდეთ ადგილობრივი პროფესიული განათლების დაწესებულებების წარმომადგენლებს, პედაგოგებს, განათლების სფეროში მომუშავე ადამიანებს, ასევე პროფესიულ სტუდენტებს. გავიზიარებთ მათ გამოცდილებას. ჩვენთვის ეს ვიზიტი ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან სლოვაკეთი ინტეგრირებულია ევროპის საგანმანათლებლო სივრცეში, ჩვენ კი ახლა ვიწყებთ ამ მიმართულებით ზრდას.“*

ქეთევან ნატრიაშვილი, *განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე: „დუალური, ანუ სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების კუთხით, ძალიან გვაინტერესებს სხვა ქვეყნების წარმატებული გამოცდილება. ამ შემთხვევაში, ჩვენთვის მნიშვნელოვანია სლოვაკეთის გამოცდილება, რადგან მათ ავსტრია დაეხმარა პროფესიული განათლების სისტემის რეფორმირებაში და ამჟამად იგი სრულადაა ჰარმონიზებული ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან. ჩვენ შემთხვევაშიც ეს არის მიზანი.*

პროფესიული განათლების 10 მასწავლებელი გაემგზავრება სლოვაკეთში, ევროკავშირისა და ნატოს საინფორმაციო ცენტრის მხარდაჭერით, გაეცნობა იქაურ სისტემას, დამყარდება კავშირი კოლეგებთან, რაც სამომავლოდ ხელს შეუწყობს ერთობლივი პროგრამების განხორციელებასაც.“

სპორტი

საქართველოს ჩემპიონობისთვის ბრძოლის უფლების მოსაპოვებლად

გრძელდება სასკოლო სპორტული ოლიმპიადის ზონალური შეჯიბრებები აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს პირველობისთვის, რაც ფინალურ ეტაპზე საქართველოს ჩემპიონობისთვის ბრძოლის უფლებას იძლევა.

აღმოსავლეთ საქართველოში უკვე გამოვლინდნენ გამარჯვებულები ბადმინტონში. ივნისში ქუთაისში გასამართ ფინალურ ეტაპზე თამაშის უფლება თელაველებმა მოიპოვეს – გოგონებში №4, ბიჭებში კი №5 საჯარო სკოლების გუნდებმა. ამ დღეებში გაირკვა, რომ მათი მეტოქეები, ქუთაისში, ქუთაისელები იქნებიან – დასავლეთის ზონალურ თამაშებში გოგონებში და ვაჟებშიც იქაურთა 21-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებმა გაიმარჯვეს.

ბადმინტონის გარდა, ამავე დღეებში, ქუთაისმა 3X3 კალათბურთშიც უმასპინძლა დასავლეთის ზონალურ ტურნირს, სადაც ბიჭებში წარმატება ქუთაისის №3 საჯარო სკოლის, გოგონებში კი ხულოს საჯარო სკოლის გუნდებმა მოიპოვეს.

ამ უქმეებზე თბილისმაც უმასპინძლა ზონალურ თამაშებს. ცხადია – აღმოსავლეთში: „ოლიმპიური პარკის“ ტერიტორიაზე მდებარე ფრენბურთის არენაზე ამავე სახეობის დასკვნითი შეხვედრები გაიმართა რეგიონის გამარჯვებულ გუნდებს შორის. საბოლოო წარმატებას ვაჟებში დედოფლისწყაროს №1, ხოლო გოგონებში ბოლნისის ასევე №1 საჯარო სკოლების გუნდებმა მიაღწიეს. აღსანიშნავია, რომ ბოლნისელები შარშანდელი სასკოლო ოლიმპიადის გამარჯვებულები არიან.

შეგახსენებთ, რომ დასავლეთის ზონაში ვაჟებში მაღლაკის სკოლამ, ხოლო გოგონებში ქუთაისის 22-ე სკოლამ გაიმარჯვეს.

მოსწავლეებს – ბრინჯაო

ბოლო უქმეებზე ბელგრადში ჩატარდა ევროპის ჩემპიონატი სკოლის მოსწავლეთა შორის, რომელშიც ჩვენი ნაკრები ვაჟების ორივე საჭიდაო დისციპლინაში გამოვიდა, გოგონებში კი მონაწილე არ გვყავდა.

სამწუხაროდ, ჩვენები არცთუ წარმატებით გამოვიდნენ. ორივე ნაკრებმა, ჯამში, 9 მედალი კი მოიპოვა, რაც რაოდენობრივად იქნება არაა ურიგო შედეგი, მაგრამ ცუდი ისაა, რომ ხარისხობრივად ყველა ჯილდო ბრინჯაოსია და არც ერთი არაა უფრო მაღალი ხარისხის.

თავისუფალი სტილით მოჭიდავეთაგან ევროპის მესამე პრიზიორები გახდნენ: **გიორგი გოგრიჭიანი** (38), **ლუკა ჩხიტუნიძე** (42), **გიორგი ქურხული** (47), **დავით ფაცინაშვილი** (59) და **ნიკოლოზ ბარაბაძე** (85). ბერძენ-რომაელებში კი მედლებს **დავით გვასალია** (38), **თემურ ორჯონიკიძე** (42), **რომეო ბერიძე** (47) და **ნიკა ბროლაძე** (53) დაეუფლნენ.

„ჩემპიონზე“ ვერ ვიჩემპიონეთ

ანტალიაში დასრულდა ახალგაზრდა მოჭიდავეთა დიდი საერთაშორისო ტურნირი „ჩემპიონი“, რომელშიც 12 ქვეყნის 400-მდე სპორტსმენი გამოდიოდა. ჩვენგან თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრებმა იასპარეზა, თუმცა, სამწუხაროდ, „ჩემპიონმა“ ჩემპიონობაზე უარი გვითხრა და მხოლოდ 4 მედალს დაგვაჯერა. არადა, ჩემპიონობის რეალური შანსი ორ ქართველს ჰქონდა – სამტრედიელი **ივერიკო ჯულაყიძე** (66) მცხეთელი **ზურაბ ურთაშვილი** (97) ფინალში გავიდნენ, თუმცა დამარცხდნენ და ვერცხლის მედლებს დასჯერდნენ.

გელა საღირაშვილის შეგირდთა ანგარიშზე კიდევ ორი ბრინჯაოს მედალია, რაც ხარაგაულელი **ზაურ ბერაძის** (84) და მცხეთელი **გივი მაჭარაშვილის** (97) მონაგარია.

ჭაბუკების ტრიუმფი პოლონეთში

ჭაბუკ ძიუდოისტთა ნაკრები დიდი წარმატებით გამოვიდა პოლონეთის ქალაქ ბიელსკო ბიალაში, ევროპის თასზე: 11 მედალი – 4 ოქრო, 2 ვერცხლი და 5 ბრინჯაო. ჩვენებმა 8 წონიდან 5-ის ფინალში იჭიდავეს, აქედან ერთი – ქართული ფინალი; ერთი წონის კვარცხლბეკზე, ერთბაშად, სამი ქართველი; გუნდური პირველი ადგილი ბიჭებში და მეორე - საერთო ჩათვლაში, სადაც მხოლოდ გოგონებით გაძლიერებულ რუსებს ჩამოვრჩით.

ჩემპიონები **მიხეილ ბახბახაშვილი** (66), **ლაშა ბექაური** (73), **გოჩა ღვაჩლიანი** (81) და **მიხეილ ბექაური** (90) გახდნენ, მეორეზე **გიორგი კაპანაძე** (60) და **ვლადიმერ ახალკაცი** (81) გავიდნენ, ბრინჯაოს კი **ლუკა კაპანაძე** (55), **ილია სულამანიძე** (81), **გიორგი კარიაული** (90), **ალექსი სვიანაძე** და **ლევან ჭელიძე** (ორივე – +90) დაეუფლნენ. ამასთან, **გიორგი ყიზილაშვილის** შეგირდებიდან კიდევ ორმა იჭიდავა ბრინჯაოსთვის: **გურამ ძავაშვილი** და **საბა კაპანაძე** (ორივე – 60) მეხუთეზე გავიდნენ.

ეს ტურნირი ევროპის ჩემპიონატისთვის ერთ-ერთი ბოლო საკონტროლო-შესარჩევი შეჯიბრებაა, რომელსაც ივნის-ივლისის მიჯნაზე კაუნასი უმასპინძლებს. საქართველოს ჩემპიონატის შემდეგ, სადაც გამოიკვეთა ის ძირითადი ბირთვი, საიდანაც მწვრთნელს ევროპაზე წასაყვანი ფალავნები უნდა შეერჩია, გუნდმა ერთი შესარჩევი შეჯიბრება უკვე გაიარა – აპრილის დასაწყისში ტულაში იჭიდავა. იქ მწვრთნელმა ქვეყნის ყველა მედალოსანი წაიყვანა, თუმცა უმედლოდ დარჩენილი რამდენიმე საინტერესო ფალავანიც დაამატა. ტულამ კიდევ უფრო „გაცხრილა“ პოლონეთში წასაყვანი შემადგენლობა – ვინც იქ გამოიჩინა თავი, ახლაც მიეცა შანსი, ხოლო ვინც ეს გამოიყენა, პრაქტიკულად, გაინაღდა კიდეც ლიტვაში წასვლა.

ლუკა კაპანაძე, ბახბახაშვილი, ღვაჩლიანი, ლაშა და მიხეილ ბექაურები ორივე ტურნირზე საუკეთესონი იყვნენ ჩვენს გუნდში, ანუ მთავარი ფავორიტები არიან. მძიმე წონაში ჭელიძესაც აქვს გარკვეული უპირატესობა სვიანაძესთან შედარებით: საქართველოს ჩემპიონატის ფინალში მოუგო, ტულაში აჯობა მის მომგებ რუს **არუთინ ბაბლიანს**, ახლა კი ორივე ერთნაირად გამოვიდა. 60 კილოგრამში გიორგი კაპანაძემაც კონკურენტებზე უკეთესი შედეგი აჩვენა – ტულაში მანაც წააგო და სხვებმაც. სამაგიეროდ, ამჯერად მხოლოდ მან გამოიჩინა თავი. ერთადერთი წონა, სადაც ამ ორი ტურნირის შემდეგ ვერაფერი დამაიმედებელი ვერ დავინახეთ, 50 კილოგრამია.

პოლონეთში ქართული ფინალი 81 კილოგრამში ვიხილეთ და სამი ქართველიც ამ წონაში ავიდა კვარცხლბეკზე. თან სამივე ნახევარფინალში გავიდა, სადაც ღვაჩლიანმა სულამანიძეს მოუგო, ახალკაცმა კი რუს **საიდ გაჯიევს** აჯობა დამაჯერებლად. ქართული ფინალი ღვაჩლიანის გამარჯვებით დასრულდა – ორი ვაზარით აართვა ახალკაცს. ეს იყო ერთადერთი შეხვედრა, რომელიც ჩემპიონმა ქულებით მოიგო, თორემ დანარჩენ ოთხში წმინდად იმარჯვა.

აღსანიშნავია, რომ ტულაში მხოლოდ ორი ჩემპიონი გვყავდა და ორივე – ზემოხსენებული ბექაურები, რომლებმაც არც ახლა დაუთმეს ვინმეს პირველობა. ძალიან კარგად იჭიდავა და თავისი ტალანტი კიდევ ერთხელ დაამტკიცა ლაშა ბექაურმა, ვინც ზედიზედ მეორე ფინალი მოუგო რუს **ნოვრუზ ნოვრუზოვს**. ასევე დამაჯერებელი იყო მიხეილ ბექაურიც. მან, ფინალში გადასასვლელ პაექრობაში, კიდევ ერთხელ დაამარცხა არანაკლებ პერსპექტიული თანაგუნდელი მიხეილ კარიაული, ვისაც ტულაში ფინალში აჯობა.

რაკი მოგვარეებზე ჩამოვარდა სიტყვა, გეტყვით, რომ პირველ დღეს მედლისთვის სამი კაპანაძე იბრძოდა – ლუკა, გიორგი და საბა. ამათგან უმედლოდ მხოლოდ საბა დარჩა, თუმცა, როგორც გითხარით, დამამშვიდებლის ფინალში მანაც იჭიდავა და მეხუთეზე გავიდა. საინტერესოა, რომ ბექაურებიც და კაპანაძეებიც მხოლოდ მოგვარეები არიან ერთმანეთის.

რუბრიკას უძღვება
ირაკლი თავაძემ

მასწავლებლის სამუშაო რვეული



მასწავლებლის სამუშაო რვეული პორტფოლიოს განუყოფელი ნაწილია. რვეულის სტრუქტურა საშუალებას აძლევს მასწავლებელს:
1. საჭიროებისამებრ შეავსოს გაკვეთილის დაგეგმვის სქემების მოკლე ან სრული ვარიანტები;
2. გაეცნოს გაკვეთილის დაგეგმვის რეკომენდაციებს;
3. გაეცნოს გაკვეთილის მოკლედ და დეტალურად დაგეგმვის ნიმუშებს.

4 ლარი

ინოვაციური გაკვეთილები დაწყებით კლასებში

წიგნში თავმოყრილია დაწყებითი კლასებისთვის აქტუალური სწავლების მეთოდების გამოყენებით შექმნილი გაკვეთილის სცენარები ქართულში, მათემატიკაში და ბუნებაში. სახელმძღვანელო დაეხმარება მასწავლებელს მოსწავლეებს განუვითაროს: წიგნიერების, მედიაწიგნიერების, მათემატიკური წიგნიერებისა და კვლევითი უნარები, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება.

6.50 ლარი

კათედრის გამგის პორტფოლიო

კათედრის გამგის პორტფოლიო საშუალებას აძლევს კათედრის გამგეს აღრიცხოს, გააფორმოს, აღწეროს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საქმიანობები. შესასრულებელი სქემების, ცხრილებისა და კათედრის სხდომის ოქმების გარდა, პორტფოლიო შეიცავს მეთოდურ რეკომენდაციებს, რაც დაეხმარება კათედრის ხელმძღვანელს პორტფოლიოს წარმოებაში და მისი საქმიანობის განხორციელებაში.

6 ლარი

ინტერაქტიური მეთოდების კრებული

კრებულში აღწერილია **ინტერაქტიური სწავლების მეთოდები**; მოცემულია თითოეული მეთოდის გამოყენების ეტაპობრივი აღწერა; განხილულია, რა უნარებს ავითარებს თითოეული მეთოდი; დასახელებულია თითოეული მეთოდის გამოყენების წინაპირობა. კრებულში თავმოყრილია 50-მდე მეთოდის აღწერა.

6 ლარი

მასწავლებლის კალენდარი

კალენდარი ისეა შედგენილი, რომ მასწავლებელს მთელი წლის განმავლობაში შეუძლია **დაგეგმოს და ჩაინიშნოს** მისთვის საჭირო და სასურველი აქტივობები და ინფორმაციები. კალენდარი ყოველკვირეულად აწვდის მასწავლებელს მისთვის მნიშვნელოვან პრაქტიკულ, **პედაგოგიურ რჩევას თუ საჭირო ინფორმაციას**. **კალენდარს ახლავს** შესასრულებელი გაკვეთილების ცხრილი, მნიშვნელოვანი აქტივობების რეესტრი და თავისუფალი ფურცლები, რათა მასწავლებელს ყველა საჭირო ინფორმაცია ერთად ჰქონდეს განთავსებული.

ს ი ა ხ ლ ე

5.50 ლარი

ცნობარი დაწყებითი კლასების პედაგოგებისათვის

ცნობარი დაწყებითი კლასების პედაგოგებისთვის მომზადდა დაწყებითი კლასების მასწავლებლების საჭიროების გათვალისწინებით. მოიცავს: საგნობრივ, თეორიულ მასალას; ცოდნის შესამოწმებელ ტესტებს, რაც საგნობრივი გამოცდისთვის მომზადებაში დაეხმარებათ.

14 ლარი

წიგნი I
ძველი ქართული მწერლობა

წიგნი II
„ვეფხისტყაოსანი“

წიგნი III
XIX საუკუნის მწერლობა

წიგნი IV
XX საუკუნის მწერლობა

თითო ტომის ფასი – 13 ლარი

მოვემზადოთ საატესტატო გამოცდებისთვის

კრებულში შესულია პროგრამით გათვალისწინებული თეორიული მასალა და ტესტები. გადასაფხეკი ფენის ქვეშ მოთავსებულია უნიკალური კოდი. ეს კოდი შეიყვანეთ სპეციალურ აპლიკაციაში, რომელიც განთავსებულია გამომცემლობის ოფიციალურ ფეისბუქგვერდზე

fb.com/bakursulakauripublishing

ერთი კოდის გამოყენება შეუძლია მხოლოდ ერთ მომხმარებელს. ელექტრონული ტესტები შეიძლება ჩააბაროთ როგორც თემების მიხედვით, ასევე შერეულად.

თითო კრებულის ფასი – 10.90 ლ

ქართული ენის კრებულები

ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული გრამატიკის თეორიული კურსი და სავარჯიშოები.

სერიის ფასი – 17.70ლ

ნამდვილი და მოგონილი ამბები

სერია „ნამდვილი და მოგონილი ამბები“ შექმნილია I-VI კლასების მოსწავლეებისათვის, „კითხვის საათის“ სპეციფიკის გათვალისწინებით.

სერიის ფასი – 32.40ლ



12 ლარი

თამაზ ვასაძე
კომენტირებული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი



10 ლარი

ფიზიკა
საატესტატო გამოცდისთვის
ქ. ტატიშვილი, ზ. ბერაია

7 ლარი

ქართული ენის გრამატიკა
სინტაქსი (სასკოლო კურსი)
ნ. შარაშენიძე

8 ლარი

ქართული ენის გრამატიკა
მორფოლოგია (სასკოლო კურსი)
ნ. შარაშენიძე

10 ლარი

თამარ ბეროზაშვილი
ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი (ორტომეული)

4 ლარი

თამაზ ვასაძე
ქართული აგიოგრაფიული პროზა ლიტერატურის შემსწავლელთათვის



10 ლარი

ბიოლოგია (II ნაწილი)
ეროვნული გამოცდებისთვის
ლ. ბურდილაძე, ნ. სიხარულიძე, ქ. მაღრაძე, დ. ნაზირიშვილი



9 ლარი

ისტორია
საატესტატო გამოცდისთვის
ნ. ახმეტელი, ბ. ლორთქიფანიძე, ნ. მურღულია



ერთი ტომის ფასი – 9 ლარი

თემატური ენციკლოპედია „რა არის რა“

- ქიმია
- მეცნიერებები
- ხალხთა დიდი გადასახლება
- კრიმინალისტიკა
- არქიტექტურა
- ევროპა
- უძველესი ადამიანი
- მეკობრეები
- ჯანსაღი კვება
- ამინდი
- ოლიმპიური თამაშები

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება“, ს/კ 202058735, ა/ა GE93LB0113314052305000, ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22
ფიზიკურმა პირებმა, თანხის გადმორიცხვისას, მიუთითეთ პირადი ნომერი. შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით: 599880073, 0322958023

ახალი განათლება
მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტეტელაშვილის ქ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.axaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com
რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,
რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >

CMYK